ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გია ვოლსკი: ქვეყნის ეკონომიკაში პრობლემებია“

„თავისუფალი დემოკრატები“ მთავრობას პარლამენტში იბარებენ გვ.4



ხუთშაბათი, 5 მარტი, 2015

152 (6672)

აფცბ5 №) სტსჰბ

# ჟურნალისტ ირაკლი გედენიძეს სცემეს

გვ.4




ირაკლი გედენიძე აქციას აშუქებდა, როდესაც ერთ-ერთი ავტომანქანიდან გადმოსულმა აქციის მონაწილემ გედენიძე პროვოკაციაში დაადანაშაულა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ფოტოკამერა დაუმტვრია.




## ბადაშვილი: უნდა დადგინდეს, მომჩივანი რამდენად სამართლიანად ფლობდა იმ ქონებას, რომელიც წაართვეს“



გვ.2



რას გააკეთებს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი?

## ნაციონალებს 21 მარტს 100.000 კაცის გამოყვანის იმედი აქვთ



ნუკრი ქანთარია: „ნაციონალებს აუცილებლად მოგიკაკუნებთ“ გვ.3



ISSN 1987-9385

9 771987 938006

## სოსო ცისკარიშვილი: მეიშვილის ღირსი ხარ, შენ, პარლამენტო!“

„საგანელიძის შესახებ საუბარზე დროის დაკარგვა მენანება“ გვ.6

## სასამართლო მაგთიკომის პოზიციის სამართლიანობას ადასტურებს

2015 წლის 4 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ თავისი გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ ცხადყო მაგთიკომის პოზიციის მართებულობა. დღეს პალიტრა TV-მ სასამართლო პროცესი წააგო.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა პალიტრა TV-ის მოთხოვნა — პალიტრა TV-ის მიერ სიგნალის თანამგზავრამდე მიტანის გარეშე მაგთისატის სამომხმარებლო პაკეტში ტელეარხის განთავსებაზე.

სასამართლო გადაწყვეტილებამდე ეს საკითხი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაგთიკომის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი.

პალიტრა TV-მ თავისი მოთხოვნის სამართლიანობაში ვერ დაარწმუნა ვერც სასამართლო და ვერც კომუნიკაციების ეროვნული კომისია, სადაც პროფესიონალურ დონეზე მოხდა საქმის განხილვა, თუმცა მაგთიკომის იმიჯის შესალახად საქმეში ჩაუხედავი მკითხველი არაერთგზის შეიყვანა შეცდომაში.

კეჰ]ბ ოზსტქზ .ლზსტქზ იფლზ

# ბადაშვილი: უნდა დადგინდეს, მომჩივანი რამდენად სამართლიანად ფლობდა იმ ქონებას, რომელიც წაართვეს“

## რას გააკეთებს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი?

ნათია ხურცილავა


ირაკლი ღარიბაშვილი


გიორგი ბადაშვილი


თეა წულუკიანი

გუშინ, 4 მარტს „თბილისი მარიოტში“ სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას მთავარი პროკურორი, პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტის წევრები დაესწრნენ.

ახალ დეპარტამენტს პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილი უხელმძღვანელებს, მისი მოადგილე კი პროკურორი კოკა კაციტაძე იქნება.

დეპარტამენტი ძირითადად 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე შემოსულ საჩივარ-განცხადებებს განიხილავს და ყველა დამნაშავეს, სტატუსის მიუხედავად, პასუხისგებაში მისცემს.

მთავარი პროკურორის, ბადაშვილის თქმით, ახალი დეპარტამენტი ისეთი პროკურორებით დაკომპლექტდა, რომლებზეც არც ერთ სამართალდამცავ უწყებაში პრეტენზია არ არსებობს.

◆ ◆ ◆

ახალი დეპარტამენტის შესახებ კომენტარები გააკეთეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

**ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი:**

— არსებობს დოკუმენტები და მტკიცებულებები, როგორ იყენებდნენ დაკავებას პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის. სააკაშვილის რეჟიმმა გაასამართლა 300 ათასი ადამიანი. ოთხნახევარ მილიონიან საქართველოში ეს უზარმაზარი ციფრია. ამას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან, ადამიანის უფლებებთან, აღარაფერს ვამბობ მორალსა და ადამიანობაზე. ჩვენი მოქალაქეების დარღვეული უფლებების აღდგენას თავისი წესი და რიგი აქვს, დრო სჭირდება და ხელოვნურად პროცესებს ვერ დავაჩქარებთ. სამართლიანობის აღდგენის სახელით გადადგმულ ნაჩქარევ ნაბიჯებს შეიძლება ქვეყნის, მომავალი თაობის ინტერესები შეეწიროს, რაც სრულიად დაუშვებელია. მაგრამ ერთი რამ ცხადია — პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც იყო ამ დანაშაულების ინიციატორი და ორგანიზატორი და ეს უნდა იყოს ყველა ხელისუფალისთვის იმის მაგალითი, რომ საქართველოში დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება, ვინც უნდა იყოს ის.

ჩვენ ვმსჯელობთ და გავაგრძელებთ მსჯელობას, რომ საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებს, რომლებმაც გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებას, მაგრამ არ აქვთ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, არ დაეკისროთ პასუხისმგებლობა. მთავარ აქცენტს გამოძიება გააკეთებს დანაშაულის ინიციატორსა და ორგანიზატორზე.

**გიორგი ბადაშვილი, მთავარი პროკურორი:**

— გარდა ქონების ჩამორთმევისა, ჩვენ უნდა დავადგინოთ, რამდენად კანონიერად ფლობდნენ განცხადების ავტორები აღნიშნულ ქონებას. ამის შემდეგ ჩვენ უკვე სამართლებრივ გადაწყვეტილებას მივიღებთ. საქმეების შესწავლა დაიწყება იმ რესურსის გათვალისწინებით, რაც დღეს დეპარტამენტს გააჩნია. გამოძიებები პარალელურ რეჟიმში არ იმართება, შესაბამისად, თითოეულ საქმეს დასჭირდება ის დრო, რაც მტკიცებულებების შესაკრებად იქნება აუცილებელი, რაც საქმის ლოგიკურ სამართლებრივ დასრულებამდე მიგვიყვანს.

**ირაკლი ნადარეიშვილი:**

— პროკურატურა და ახლად შექმნილი დეპარტამენტი გამოთქვამენ მზადყოფნას, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში გამოიძიონ სამართალწარმოების პროცესში შესაძლო დანაშაულის ყველა ფაქტი, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში განახორციელონ სისხლის სამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, მიუხედავად მათი სტატუსისა, გაუწიონ სამართლებრივი შეღავათები იმ პირებს, რომლებიც გულწრფელად ითანამშრომლებენ გამოძიებასთან და ზიანს ნებაყოფლობით აანაზღაურებენ.

◆ ◆ ◆

როგორ აფასებენ მთავრობის წევრები მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტის შექმნას და რამდენად რეალურია სამართლიანობის აღდგენა?

**თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:**

— საჭირო იყო სპეციალური ორგანოს არსებობა იმისთვის, რომ საქმე ბოლომდე მისულიყო და დაუსჯელობის სინდრომი არა მხოლოდ აღმოიფხვრას, არამედ არასდროს, არც ერთი ხელისუფლების პირობებში აღარ განმეორდეს. სახელმწიფოს ხელით ქონების ჩამორთმევების საქმეები, როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, რამდენიმე ასეულია და ძალიან კარგია, რომ უმრავლესობა ამ ქონებისა, ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია. ამაზე ეკონომიკის სამინისტრო იმუშავებს იმისთვის, რომ ამ ნაწილში უფლებები რაც შეიძლება სწრაფად აღდგეს. რაც შეეხება განაჩენების გადახედვას, ამ შემთხვევაშიც ათასამდე საქმეა და პირველ ეტაპზე მათზე გამოძიება უნდა ჩატარდეს, რათა დადგინდეს, იყო თუ არა განაჩენი უკანონო გამოძიების შედეგი და ხომ არ იყო მტკიცებულებები მოპოვებული ზეწოლის, მუქარისა და წამების შედეგად.

თავის დროზე თეა წულუკიანმა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაზე უარყოფითი აზრი გამოთქვა ფინანსური ასპექტების გამო. გუშინ მინისტრმა თავის ამ პოზიციაზეც გააკეთა კომენტარი:

**თეა წულუკიანი:**

— სამართლიანობის აღდგენის პროცესში ყველაფერი საბოლოოდ მაინც თანხებამდე მიდის. საქმეების დახარისხებამ აჩვენა, რომ მრავალი შემთხვევა შეიძლება ნაკლები ფინანსური დანაკარგებით მოგვარდეს. ეს ის საქმეებია, რომლებიც ეხება ჩამორთმეულ ქონებას, მაგალითად, საავარაკე ნაკვეთს, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფოს ხელშია და ვფიქრობ, სწორედ ამ საქმეებით უნდა დაიწყოს პროცესი პირველ რიგში და შემდგომ სხვა საქმეებზე გაგრძელდეს მუშაობა.

ეკონომიკის მინისტრი პრივატიზაციასა და სადავო ქონებაზე აკეთებს აქცენტს.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— ამ ორი წლის განმავლობაში საპრივატიზაციოდ არ გაგვიტანია ის ქონება, რომელთან დაკავშირებითაც არსებობდა ეჭვი, რომ კანონიერი მფლობელისთვის შესაძლოა, უკანონოდ ყოფილიყო ჩამორთმეული. თუ გამოძიება კონკრეტული პირისთვის ქონების უკანონოდ ჩამორთმევას დაადასტურებს, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული შესაბამისი ქონება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება.

რა ხდება, როცა ჩამორთმეული ქონება სახელმწიფო საკუთრებაში არ ირიცხება?

კვირიკაშვილი ამბობს, რომ სახელმწიფოს აქვს სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის, სხვა ქონებით ჩანაცვლების მექანიზმი, ასევე ეს არის ობლიგაციების მექანიზმი.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური პრობლემის ფინანსურ ასპექტებს შეეხო:

— ბიუჯეტში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ფული დღესაც დევს. შესაბამისი თანხა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდში ირიცხება.

წინა ხელისუფლების დროს ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი გაუსხვისებელია, მათ შორის, ეკონომიკის სამინისტროს შეწყვეტილი ჰქონდა იმ ობიექტების პრივატიზაცია, რაზეც დავა მიმდინარეობდა. ჩვენ დაველოდებით გამოძიების დასრულებას და სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად ვიმოქმედებთ.

# გოგი ოჩიაური პარლამენტიდან მიდის

## მას ლევან თარხნიშვილი შეცვლის


გიორგი ოჩიაური


ლევან თარხნიშვილი

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა გიორგი ოჩიაურმა სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ითხოვა.

ოჩიაურის მიმართვა პარლამენტის ბიუროს გუშინ, 4 მარტს, წარედგინა. როგორც დეპუტატის განცხადებაშია აღნიშნული, მას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სურს.

გიორგი ოჩიაური პარლამენტის უხუცესი წევრია. იგი 1927 წელსაა დაბადებული. ოჩიაურის გასვლის შემდეგ პარლამენტში უხუცესი დეპუტატი განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძე იქნება, რომელიც 1937 წელს არის დაბადებული.

გოგი ოჩიაურს პარლამენტში ლევან თარხნიშვილი შეცვლის. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიაში ოჩიაურის ადგილმონაცვლე სწორედ თარხნიშვილია.

პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის შემადგენლობაში კიდევ ერთი ახალი დეპუტატი — ეკა ხერხეულიძე შევა, რომელიც უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტზე დანიშნული დავით საყვარელიძის ადგილმონაცვლეა.

# საპატრიარქო: გიული ალასანია პატრიარქთან ნამდვილად მოვიდა, ოღონდ დაბადების დღის მისალოცად“



ბოლო რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელებში აქტიურად იხილება ინფორმაცია, რომლის მიხედვით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ, მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია დაიბარა და უთხრა, რომ სააკაშვილი დაბრუნდეს და მიხედოს ქვეყანას. ამის შესახებ ფეისბუქის მომხმარებელმა ნანა დურგლიშვილმა დაწერა.

,,კი დავწერე რამოდენიმე ადგილას კომენტარში, მაგრამ რადგან უამრავ ადამიანს აინტერესებს, ეს ფაქტი რამდენად მართალია, გადავწყვიტე, რომ სტატუსად გამომეტანა, შეგიძლიათ გაავრცელოთ.

ვხედავ, დიდი ბჭობა მიდის თემაზე, მართალია თუ არა ინფო იმის შესახებ, რომ პატრიარქმა გიული (მიშას დედა) დაიბარა და სთხოვა მიშასთვის გადაეცა, რომ სასწრაფოდ დაბრუნდეს და მიხედოს ქვეყანას. ეს არის სიმართლე. ეს მოხდა დაახლოებით ერთი თვის წინ, მიიღო თავის საძინებელში, სადაც ესაუბრა და სთხოვა, რომ მიშასთვის გადაეცა დანაბარები, მერე გამოაცილა ყველას დასანახად. რამოდენიმე მეგობრის კედელზე წავაწყდი ამ თემაზე კამათს და მსჯელობას, ეს მოხდა თუ არ მოხდა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ფაქტი ნამდვილად მოხდა, ეს ამბავი მართალია!“ — წერს ნანა დურგლიშვილი.

◆ ◆ ◆

გუშინ, 4 მარტს, საქართველოს საპატრიარქომ აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. მასში ნათქვამია:

„სოციალურ ქსელებში ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს კათოლიკოს-პატრიარქმა თავისთან დაიბარა ქალბატონი გიული ალასანია, რათა მას „მიშასათვის გადაეცა, დაბრუნდეს და ქვეყანას მიხედოსო,“ რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

როგორც ჭორების უმრავლესობა, ეს ინფორმაციაც მტყუან-მართლის ნაზავია: ქალბატონი გიული მართლაც იყო მოსული საქართველოს საპატრიარქოში იანვრის პირველ რიცხვებში, ოღონდ თავისი სურვილით და იმ მიზნით, რომ, სხვა მოქალაქეების მსგავსად, მისი უწმინდესობისათვის მიელოცა დაბადების დღე, რასაც იგი გასულ წლებშიც აკეთებდა, ვიღაცას კი ძალიან სურს, სხვა ელფერი მისცეს ამ ჩვეულებრივ ფაქტს.

სხვათა შორის, ქალბატონი გიული ალასანიას ახლობელი, ქალბატონი დარეჯან კუხიანიძეც იგივეს წერს თავის ფეისბუქის გვერდზე, მაგრამ რატომღაც ტირაჟირდება სხვების „სიმართლე,“ მისი კი — არა“.

◆ ◆ ◆

თავად გიული ალასანია კომენტარს არ აკეთებს.

ნიუ.გე-მ ალასანიასთან დაკავშირება სცადა, მაგრამ“საქართველოს უნივერსიტეტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, რომ უნივერსიტეტის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს კომენტარის გაკეთება არ სურს.

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნაციონალებს 21 მარტს 100.000 კაცის გამოყვანის იმედი აქვთ

## ნუკრი ქანთარია: „ნაციონალებს აუცილებლად მოგიკაკუნებთ“

შორენა მარსაგიშვილი






21 მარტს ნაციონალების მიერ დაანონსებული საპროტესტო აქცია პარლამენტის გუშინდელი სხდომის განხილვის საგანიც გახდა. მეოცნებეების მტკიცებით, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყანაში არეულობის შემოტანას შეეცდებიან. ამას ნაციონალური მოძრაობა კატეგორიულად უარყოფს.

დეპუტატმა ნუგზარ წიკლაურმა პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ მათი აქციის მიზანი ქვეყანაში არეულობის მოწყობა არ არის. მისივე თქმით, მათ არეულობა არ სურთ, მაგრამ ხელისუფლების შეცვლას აპირებენ.

— არ არის მართალი, რომ ჩვენი აქციების მიზანი არეულობა ან რაიმე სახის დესტაბილიზაციაა, როგორც 2-3 წლის წინ ოპოზიცია აკეთებდა ამას. აგრეთვე არ გახლავთ სიმართლე, რომ ვინმეს ამ გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდება სურს. ივანიშვილის მთავრობამ დღეს დაკარგა ხალხის ნდობა. მთავარი მიზანი არის, რომ შესრულდეს ქართველი ხალხის ნება და ივანიშვილის უნიათო მთავრობა წავიდეს და ის შეცვალოს ისეთმა მთავრობამ, რომელიც შეძლებს და მოამზადებს ახალ არჩევნებს, — განაცხადა წიკლაურმა.

ხელისუფლების შეცვლის მსურველმა დეპუტატმა ის მიზეზებიც ჩამოთვალა, თუ რატომ უნდა წავიდეს საოცნებო მთავრობა.

— ეს მთავრობა უნდა წავიდეს იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მოვიდა უმანკო ბავშვის სისხლზე და ეს მკვლელობა არ გამოიძია; რუს ჯაშუშებს მიანიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი; კრიმინალი, მკვლელობა და ყაჩაღობა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობაა; მოატყუა იპოთეკარები და ის ხალხი, ვისაც კრედიტები ჰქონდა აღებული; სისხლის სამართლის საქმე აღძრა კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ, შეეცადა გაეუქმებინა თავისუფალი უნივერსიტეტი, გააუქმა ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და ჩალის ფასად აპირებს მის გაყიდვას; სამარცხვინოდ თქვა, რომ საქართველომ დაიწყო ომი, რომ ეკონომიკური წარმატებები იყო სიცრუე; შეაჩერა ლაზიკის, ყარსი-ახალქალაქის და თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა; შეაჩერა ქართული სამხედრო მრეწველობა; შეამცირა ტურიზმი, ინვესტიციები და ვიზიტორები, — ამბობს დეპუტატი.

ის აღშფოთებულია იმით, რომ „უხამსი და უვიცი ჩინოვნიკები ნათესავებს ურიგებენ ხალხის კუთვნილ ქონებას“. მისივე შეფასებით, უკვე ყოველგვარ ზღვარს გადავიდა მთავრობის ხელფასები. მან მეოცნებეებს რესტორნებში ბიუჯეტის ხარჯზე გრიალიც წამოაძახა. არც მათი მანქანები დაუტოვებია უყურადღებოდ.

სიტყვით გამოსვლის დასასრულს კი მთელ საქართველოს მოუწოდა, 100.000 მოქალაქე გამოვიდეს 21 მარტის აქციაზე. წიკლაურის ღრმა რწმენით, ამ ხალხმა უნიათო მთავრობას გადადგომა უნდა მოსთხოვოს.

◆ ◆ ◆

ნაციონალების მიერ დაანონსებულ აქციაში მეოცნებეები ბევრ საეჭვო რამეს ხედავენ, დეპუტატი ნუკრი ქანთარია კი სამარცხვინოდ მიიჩნევს ნაციონალების მოწოდებებს.

მისი თქმით, ნაციონალებს სინდისი რომ ჰქონდეთ, ცოტა ხნით გაისუსებოდნენ და ხალხს თავიანთ სახეს დაავიწყებდნენ. ქანთარია მოსახლეობასაც მიმართავს და სთხოვს, ნაციონალების დაძახილზე ქუჩაში ნუ გავლენ. დეპუტატი პირობას დებს, რომ არანაციონალურ მიტინგს თვითონაც შეუერთდება.

— ჩვენი კოლეგები ემზადებიან მიტინგისთვის და აქაც მიტინგის ნოტები იგრძნობოდა ზოგიერთ გამოსვლაში. მე მინდა, მოვუწოდო მოსახლეობასაც, რომ კი ბატონო, არის პრობლემები, მთელი რიგი მათგანი მემკვიდრეობით არის წამოსული ნაციონალური მოძრაობისგან, რომელთაც არც მორალური უფლება აქვთ და არც შეუძლიათ, ამ პრობლემებს მოუახლოვდნენ, რადგან თავად შექმნეს ისინი. ხალხს აქვს კითხვები, ყველას შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი, მათ შორის, მიტინგის წესითაც, მაგრამ გამოვიდეს ნებისმიერ დროს, მეც ჩავალ მათთან, 20-ში, 27-ში, 28-ში, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის მიერ დაძახილ მიტინგზე ნუ იკადრებთ გამოსვლას, ჩემო ძვირფასებო. ეს მართლაც იქნება ძალიან სამარცხვინო და სირცხვილია, ვინც 21 მარტს დააპირებს გამოსვლას მხოლოდ იმიტომ, რომ აწუხებს რაიმე პრობლემა. იმიტომ, რომ თქვენ უნდა დაუდგეთ მათ გვერდზე, ვინც ეს პრობლემები შეგიქმნათ, — განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

დეპუტატმა კმაყოფილება გამოთქვა პროკურატურაში ახალი დეპარტამენტის შექმნის გამო. მისი მტკიცებით, ახალმა უწყებამ უკვე შეაშინა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები.

— ვისაც დანაშაული არა გაქვთ ჩადენილი, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, მაგრამ ვისაც დანაშაული გაქვთ ჩადენილი, ცხადია, უნდა გეშინოდეთ, ვინაიდან სამართლიანობის ხელი აუცილებლად მოგიკაკუნებთ. ერთ ასეთ უფასო რჩევასაც მოგცემდით — თქვენ ხშირად ამბობთ, რომ რაც კი ხდება, ყველაფერს მაინც ჩვენ გვაბრალებენო და დაფიქრდით, როდის დროს, 1 წლის ან 1,5 ნახევრის განმავლობაში გაისუსეთ საერთოდ, დაავიწყეთ ხალხს სახე, იმიტომ, რომ მათ აღიზიანებთ და დღეურები აწარმოეთ, შენიშვნები ჩაიწერეთ და შემდეგ შეეცადეთ თქვათ, რომ აი, არ ვამბობთ, იმიტომ, რომ შემდეგ ისევ ჩვენ გვაბრალებენო. ამით თქვენც დაიწყნარებთ ნერვებს და შეიძლება წაგადგეთ, — განაცხადა ქანთარიამ.

ნუკრი ქანთარიას ნაციონალთა ერთ-ერთი ლიდერი ირმა ნადირაშვილი გამოეხმაურა და ამაყად განაცხადა, რომ არაფრის ეშინია. ამის გარდა, მან ქანთარიას და გია ვოლსკის ურჩია, სინდისზე საერთოდ ნუ ილაპარაკებენ.

— ბატონი ქანთარია და ბატონი ვოლსკი საუბრობდნენ სინდისზე და შუბლის ძარღვის პრობლემებზე. ეს სიტყვები საერთოდ გაგონილი მაინც რომ ჰქონდეს ჩვენს მთავრობას და ხელისუფლებას, ვფიქრობ, რომ თავის თავს არ მისცემდნენ უფლებას, 100 მილიონი დაეხარჯათ რესტორნებში და ტაშ-ფანდურში მაშინ, როდესაც ამ კვირაში პური 10 თეთრით გაძვირდა. ამ სიტყვების აზრი რომ იცოდეთ, დარწმუნებული ვარ, ძალიან შეგრცხვებოდათ და არ იყიდდით 146 მილიონის მანქანებს მაშინ, როდესაც პენსია 125 ლარი იყო ჩვენს დროს და 76 დოლარი, 150 ლარია ახლა და 71 დოლარი. თქვენ რომ საერთოდ შუბლის ძარღვის პრობლემა გაწუხებდეთ, 2012 წელთან შედარებით 358 მილიონით მეტ ხელფასებს და პრემიებს არ აიღებდით მაშინ, როდესაც საარსებო მინიმუმი ახლა არის 95 დოლარი და იყო 76; 500 დასახელების მედიკამენტი გაძვირდა 15%-ით.

ნადირაშვილის თქმით, ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია.

— ეს ყველაფერი გამოიწვია თქვენმა უნიათობამ, არაკომპეტენტურობამ, იმან, რომ კორუფციაშია ქვეყანა ჩართული. რადგან პური გაუძვირეთ მოსახლეობას, ყველანაირად ცდილობთ, რომ სანახაობა მაინც არ მოაკლოთ და ვფიქრობ, სწორედ ამის ერთ-ერთი ნაწილია ახალი დეპარტამენტის შექმნა. ბატონი ქანთარია გვეუბნებოდა, ნუ გეშინიათო და გარწმუნებთ, რომ მართლა არ მეშინია არაფრის. მე ვფიქრობ, თქვენ უნდა გეშინოდეთ, — განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

მას აინტერესებს, გამოიძიებს თუ არა ახალი დეპარტამენტი „ქართული ოცნების“ მთავრობის კავშირებს ქურდულ სამყაროსთან, ბარბარე რაფალიანცის და თათუხაშვილის საქმეებს ან იმას, პრემიერ-მინისტრის მეჯვარემ როგორ გააქრო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან 2,5 მილიონი.

— მაინტერესებს, ეს დეპარტამენტი გამოიძიებს თუ არა მარგიშვილის საქმიანობას და მის კავშირებს კორუფციულ სქემებთან. მთავრობა და უმრავლესობა ახლა მუხლებაკანკალებული ელოდებით ჯოკია ბოდოკიას სასამართლოს, რას დაფქვავს და ვის დაასახელებს, ნამდვილად არ იცით. ამის გამო გადამალეთ მარგიშვილი ახალ სამსახურში. მაშინ, როდესაც საუბრობთ ქამრების შემოჭერაზე, აბსოლუტურად არალოგიკურად გამოიყურება ამ ახალი დეპარტამენტის შექმნა, მარგიშვილისთვის ახალი სამსახურის შექმნა. თქვენ ფიქრობთ, რომ სანახაობით გადაფარავთ თქვენს უნიათობას და არაკომპეტენტურობას, მაგრამ უკვე მარტო ჩვენ კი არა, ქართველი ხალხის უმრავლესობა მიხვდა, რომ თქვენ ხართ საქართველოში ყველაზე უფრო მატყუარა მთავრობა, — განაცხადა ნადირაშვილმა.

### „თქვენთვის განაჩენს წერს ქართველი ხალხი“

პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნას გივი თარგამაძეც აპროტესტებს. დეპუტატი ამ უწყებას ფიქტიურ ორგანოდ და ბიძინა ივანიშვილის სათამაშოს უწოდებს.

— დიდი დღეაო ითქვა და მართლაც უნდა მოგილოცოთ, მმართველობის 2,5 წლის თავზე შექმენით კიდევ ერთი ფიქტიური ორგანო — დეპარტამენტი და კიდევ უფრო დაშორდით ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქის საჭიროებებსა და პრობლემატიკას. გაერთეთ ბიძინა ივანიშვილის ამ ახალი სათამაშოთი და ისევ არ შეიმჩნიოთ თქვენ გარშემო არსებული მძიმე რეალობა, თუნდაც ის, რომ ამ ბრიფინგის დასრულებისთანავე ყველა და არამხოლოდ „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებები გაგრძელდა ჯგუფური ყაჩაღობებით მთელ რიგ სავაჭრო ობიექტებზე, პურის ფასის გაძვირებით, ეკონომიკური პრობლემებით, — აღნიშნა თარგამაძემ.

თარგამაძემ ქვეყანაში კორუფციული ფონის მომატებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, კორუფციამ მთელი ქვეყანა წალეკა. ამის ნათელ მაგალითად მან თბილისის მერია დაასახელა.

— თბილისის მერიაში ყოველდღიურად იჭერენ რიგით თანამშრომლებს კორუფციისთვის, ხოლო ამ კორუფციის მამამთავრებს ახალ-ახალ დეპარტამენტებს უქმნიან; არ შეიმჩნიოთ, რომ თქვენივე ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, ბატონი ჯავახიშვილი ამბობს, რომ თურმე ბევრი ფული ტყდება საგზაო ტენდერებიდან, მაგრამ მითხარით, მიმანიშნეთ, სად ტყდებაო... მიგანიშნებთ კი არა, მთელ პაკეტს მოგცემთ, სადაც ზუსტად მიგითითებთ, სად რამდენი ფული მოტყდა ამ ხნის განმავლობაში. საკმარისი არ არის განა, რომ 30 მილიონი ერთ პირთან პირდაპირი მოლაპარაკებებით გაქვთ გაცემული, აქედან 8 მილიონი — ავანსად? ეს სულ მოტეხილი ფულებია, — ამბობს თარგამაძე.

ნაციონალი დეპუტატი საგარეო სამინისტროს მუშაობითაც უკმაყოფილოა. მისი თქმით, თამარ ბერუჩაშვილი პედალირებას უკეთებს ყველა თემას, რომელსაც დაანონსებს ლავროვი.

თარგამაძემ საქართველოს რკინიგზაც დაიტირა და მის დასამარებაში ბიძინა ივანიშვილი დაადანაშაულა. მისი მტკიცებით, ივანიშვილი ცდილობს, რკინიგზას დაეპატრონოს. მისივე განცხადებით, ამ ოლიგარქიული ოცნების ასრულებას თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილიც ცდილობდა.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ცოტა ხნის წინ ხალხს სულის ამოხდით ემუქრებოდა. ახლა ამ ხალხს მის უდიდებულესობას ეძახის და მთავრობას ხალხის სახელით აფრთხილებს.

— თქვენთვის განაჩენს წერს არა რომელიმე თქვენი ნათესავი, არა რომელიმე თქვენი ახლობელი ან თქვენთან გარიგებაში შემოსული რომელიმე ერთი კონკრეტული მოქალაქე, თქვენთვის განაჩენს წერს მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი და თქვენ ამ განაჩენს აუცილებლად მოისმენთ 21 მარტს რუსთაველზე და ეს განაჩენი აღსრულდება პირველივე არჩევნებზე, — განაცხადა გივი თარგამაძემ.

ნაციონალებისგან განსხვავებით, ახლად შექმნილ დეპარტამენტზე დიდ იმედებს ამყარებს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი. მას ისიც კარგად ესმის, რატომ გამწარდა ამის გამო ნაცმოძრაობა.

— პროკურატურაში დეპარტამენტის შექმნა შეტევის საგანი გახდა, რომელმაც თურმე არ უნდა გამოიძიოს ის უკანონო ქმედებები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. ამას თურმე პასუხი არ უნდა გაეცეს. ჩვენი ოპონენტები კი დღეს ხალხს მოუწოდებენ მიტინგებისკენ და ეს ყველაფერი არის მიმართული იქითკენ, რომ დაიძაბოს სიტუაცია და დაძაბულობის ატმოსფერო შეიქმნას. ეს ხომ განგებ კეთდება. ეს დეპარტამენტი გაცილებით ადრე უნდა შექმნილიყო. მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს მოსახლეობა ამას ყველაფერს სწორ შეფასებას მისცემს, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

## ახმეტის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს



ახმეტის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ზურაბ უძილაურის გათავისუფლებას შსს ადასტურებს. გავრცელებული ინფორმაციით, უძილაური ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისთვის და ხულიგნობის ბრალდებით არის ნასამართლევი. მას კონკრეტულ პიროვნებაზე განხორციელებულ ზეწოლაშიც ადანაშაულებდნენ. შეგახსენებთ, რომ ზურაბ უძილაურის საქმესთან დაკავშირებით, გუშინწინ კომენტარი შს მინისტრმა გააკეთა. ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ ამ უძილაურთან დაკავშირებით პროკურატურაში მოკვლევა მიმდინარეობს.

პირველი რადიო

## ახმეტის გამგეობამ 3 ახალი ჯიპი შეიძინა

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ახმეტის რაიონული ორგანიზაცია, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ჯიპის ტიპის სამი ავტომობილს შესყიდვის ფაქტს აპროტესტებს.

რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ირაკლი უჯირაულის განცხადებით, ამ დროისთვის მუნიციპალიტეტს ათზე მეტი ავტომობილი ემსახურება და კიდევ ახალი მანქანების შეძენა, რაიონში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალურის მდგომარეობის ფონზე, გაუმართლებელია.

„იმ დროს, როდესაც მუნიციპალიტეტის გამგეობა სოციალურად დაუცველ მოსახლეობის ნაწილს უარს ეუბნება უფასო კვებაზე, აბსოლუტურად ზედმეტად მიგვაჩნია 36 000 ლარის საკუთარი კეთილდღეობის და ფუფუნების შესაქმნელად გამოყოფა. თითოეული ავტომობილის შეძენა კი ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს. მთლიანობაში, ამ მანქანების შენახვა მუნიციპალიტეტს ათობით ათასი ლარი დაუჯდება“, — აუცხადებს უჯირაული.

მისივე ინფორმაციით, ამ დროისთვის, ახმეტის გამგებლის ბექა ბაიდაურის სარგებლობაშია ტოიოტა კამრი და ლექსუსი. ამის გარდა, ორ-ორი მანქანით სარგებლობენ გამგებლის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე და გამგეობის სამსახურის უფროსები.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომობილების შენახვის ხარჯი წლიურად 150 000 ლარს აღემატება. ნიუსპრესი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# გია ვოლსკი: ქვეყნის ეკონომიკაში პრობლემებია“

## „თავისუფალი დემოკრატები“ მთავრობას პარლამენტში იბარებენ

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებზე სასაუბროდ ოპოზიცია მთავრობას პარლამენტში იბარებს, მინისტრები საკანონმდებლო ორგანოში მისვლისგან თავს იკავებენ. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე მინისტრების უარს გაგებით ეკიდება. მისი თქმით, მთავრობა მუშაობს და ის არ უნდა მოცდეს.

ამასთან ტყემალაძე პირობას დებს, რომ როცა საჭირო იქნება, მინისტრები აუცილებლად მივლენ პარლამენტში.

საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ჩიქოვანი მიიჩნევს, რომ მთავრობის ეკონომიკური გუნდი პარლამენტში აუცილებლად უნდა მივიდეს. ჩიქოვანის განცხადებით, არსებულ რთულ ვითარებაში აუცილებელია, მთავრობამ პასუხი გასცეს შეკითხვებს.

პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ირაკლი ჩიქოვანმა კიდევ ერთხელ მოუწოდა უმრავლესობის წევრებს, მოახდინონ ამ საკითხის დროულად ორგანიზება.

— ჩვენს ქვეყანაში არავინ საუბრობს ეკონომიკაზე, ამ დროს პრობლემის წინაშე ვდგავართ. ეკონომიკური გუნდი ვალდებულია, ისაუბროს ამ საკითხებზე. იმ დროს, როცა, ეკონომიკური პრობლემები გვაქვს, მთავრობის წევრები არ მოდიან პარლამენტში კომიტეტის სხდომებზე და არ სცემენ კითხვებს პასუხს. არ მესმის ამ ადამიანების, რატომ არ სცემენ ჩვენს კონსტიტუციას პატივს, — განაცხადა ჩიქოვანმა.

ირაკლი ჩიქოვანმა სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზეც ისაუბრა, რომლის მიხედვითაც საკვებ პროდუქტებზე ფასები გაიზარდა.

— ხალხს აინტერესებს, რას აკეთებს ხელისუფლება. ჩვენ გვესმის სხვადასხვა გეგმების შესახებ და არაფერი ვიცით, რას წარმოადგენს ეს გეგმები. ძალიან გთხოვთ, დროზე მოვახდინოთ ამის ორგანიზება, რომ ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსის წინაშე არ დადგეს. მოვიდნენ მთავრობის წარმომადგენლები პარლამენტში და ჩვენს შეკითხვებს გასცენ პასუხი, — აღნიშნა ჩიქოვანმა.

ჩიქოვანი პარლამენტში მარტო ეკონომიკური გუნდის მინისტრების მისვლას არ ითხოვს. მისი განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში თავდაცვის მინისტრიც უნდა მივიდეს. როგორც გაირკვა, პარლამენტში თავდაცვის მინისტრის მიწვევის პირობა მას ირაკლი სესიაშვილმა მისცა.

— შეასრულოს სესიაშვილმა დანაპირები, რადგან ვხედავთ, რომ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხზე საუბრობენ სხვები, — განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.



ქვეყანაში რომ ეკონომიკური პრობლემებია, ამას საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკიც აღიარებს. მისი თქმით, ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებელია საქმიანი და პროფესიონალური გეგმის ჩამოყალიბება.

— ეკონომიკური პრობლემები მნიშვნელოვნად წარმოადგენს ჩვენს ყოველდღიურობას, რადგან ის თითოეულ ოჯახს შეეხო. სამწუხაროდ, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, ჩვენზე ბევრად ძლიერი, განიცდის იგივე პრობლემას. არ შეიძლება მსოფლიოში არსებული ეს პრობლემა გამოდგეს ჩვენი ნებისმიერი ოჯახის დასამშვიდებლად, მაგრამ რეალობა სახეზეა. სწორედ ამ რეალობას უნდა დავუპირისპიროთ საქმიანი, პროფესიონალურად ჩამოყალიბებული გეგმები, — ამბობს ვოლსკი.

გაცილებით მძიმე სურათი დახატა დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ. მისი თქმით. მესამე წელიწადია ზედიზედ ვერ სრულდება ბიუჯეტი, მცირდება სამუშაო ადგილები, შემცირდა ოჯახების შემოსავალი, გაჩერდა ეკონომიკა, იანვარში, პრაქტიკულად, ეკონომიკის ზრდა არ არის.

მისივე თქმით, მთავრობა ბიუჯეტის სეკვესტრს აპირებს, თუმცა ეს არ არის გამოსავალი ეკონომიკისთვის, არამედ ეს გამოსავალია მთავრობისთვის. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ გაცილებით მკვეთრი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო და იმ გეგმის განხორციელება, რომელიც ხელისუფლებას „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შესთავაზა.

— მარტის ბოლომდე ბიზნესებს უწევთ მოგების გადასახადის გადახდა. ყველამ, მათ შორის, მთავრობამაც იცის, რომ ამ ბიზნესებს წელს ვერ ექნებათ ისეთი მოგება, როგორიც ჰქონდათ შარშან. შესაბამისად, მათ მოუწევთ სახელმწიფოს გადაუხადონ რაღაც ფული, რომელიც მათ არ აქვს, ამიტომ სასწრაფოდ პარლამენტმა უნდა დაავალოს მთავრობას, რომ გადაუვადოს მოგების გადასახადის გადახდა ამ ბიზნესებს, ან დროში გაუწეროს, — განაცხადა ჯაფარიძემ.

# თბილისი დაუსრულებელი შენობებით გაივსო



დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში ბევრი დაუსრულებელი და მიტოვებული შენობაა. ერთ-ერთი მათგანი რუსთაველის გამზირზე მდებარე „იმელის“ შენობაა, რომელიც 1934-1938 წლებში აშენდა. შენობის აბრევიატურა — „იმელ“ რუსული ენიდან მოდის და ნიშნავს „ინსტიტუტ მარქსა, ენგელსა, ლენინა“, შემდგომში მას სტალინის სახელიც მიემატა და „იმელს“ დაერქვა, მოგვიანებით სტალინი და ენგელსი ჩამოშორდა და უბრალოდ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი დარჩა. შემდეგ წლებში ასეთივე სიხშირით იცვლებოდნენ შენობის მფლობელები და მისი დანიშნულება. იყო პერიოდი, როდესაც ამ შენობაში საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო განთავსდა, ამავე შენობაში მუშაობისას საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუცია მიიღო.

დღეს კი შენობა, რომლის ისტორიაც საკმაოდ მრავალფეროვანია, 2007 წლის შემდეგ უფუნქციოდ არის დარჩენილი. 2007 წელს „იმელი“ კულტურის მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოიღეს, რის მერეც კომპანია „კაპიტალ ინვესტზე“ გაიყიდა. პროექტი „იმელის“ შენობის მხოლოდ მთავარი ფასადის შენარჩუნებას ითვალისწინებდა. შენობის ნგრევა დაიწყეს, თუმცა მშენებლობა არ დაწყებულა. სახურავჩამოხდილი, გაძარცვული, ნახევრად დანგრეული შენობა 2008 წელს ახალი მფლობელის, „დაბი ჯგუფის“ ხელში გადავიდა. დღეს შენობის ფასადი მწვანე ბადეშია გახვეული და ზედ აბრა, წარწერით „ოცნებები სრულდება“, არის გამოკიდული.

ბპნ.გე ეკონომიკის სამინისტროს დაუკავშირდა, რათა გაგვეგო, რა ფასად გაიყიდა შენობა თავის დროზე და აქვს თუ არა სახელმწიფოს რამე ბერკეტი, რომ შენობის მფლობელ კომპანიას, ვალდებულებების შესრულება მოსთხოვოს. თუმცა, რამდენიმედღიანი ლოდინის მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტროსგან პასუხი ჯერაც არ მიგვიღია.

კიდევ ერთი შენობა, რომლის ფუნქციაც ასევე გაურკვეველია, კოსტავას ქუჩაზე მდებარე სოფლის მეურნეობის ყოფილი სამინისტროა. თავის დროზე ობიექტი GEORGIAN PROPERTY-მ იმ მიზნით იყიდა, რომ იქ სასტუმრო INTER-CONTINENTAL-ი უნდა აეშენებინა. დღეს შენობის ფასადზე სიძველისგან გახუნებული და დაგლეჯილი მწვანე ბადე ჰკიდია, ტერიტორიაზე კი სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ეკონომიკის სამინისტროსგან ვერც აღნიშნული შენობის შესახებ მოვიპოვეთ ინფორმაცია.

დედაქალაქის ცენტრში კიდევ ერთი მიტოვებული მშენებლობა ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზეა, სადაც მანამდე რესტორანი „არაგვი“ იყო და სადაც 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო უნდა აშენებულიყო. „პარკ ჰაიატ თბილისი“ ამ დრომდე არ აშენებულა, ტერიტორიამ მფლობელი რამდენჯერმე შეიცვალა, სასტუმროსთვის გაჭრილ საძირკველში წყალი ჩადგა და იქ ობიექტის აშენება შეუძლებელი გახდა. ამ ეტაპზე ტერიტორიაზე არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს, თუმცა ჰყავს დაცვა, რომელმაც ადგილზე შესვლის უფლება არ მოგვცა. როგორც ეკონომიკის სამინისტროში გვითხრეს, ეს ტერიტორია თავის დროზე მერიამ გაასხვისა. ბუნებრივია დავუკავშირდით დედაქალაქის მერიის პრესსამსახურს, სადაც განგვიცხადეს, რომ აღნიშნული ადგილი მერიის საკუთრებაში არასდროს ყოფილა. ამიტომ კვლავ ბუნდოვანი რჩება, რეალურად ვინ გაასხვისა ეს ტერიტორია და მოხდება თუ არა უახლოეს მომავალში იქ რაიმეს აშენება.

ასევე უცნობია, რა ბედის ელის პუშკინის ქუჩაზე აღმართულ რკინის კონსტრუქციას. თავისუფლების მოედანზე 2012 წელს დაწყებული პუშკინის ქუჩის რეაბილიტაცია ჯერაც არ დასრულებულა. რკინის კონსტრუქცია კი უფუნქციოდ არის დარჩენილი. ერთ-ერთი ვერსიით, აღნიშნულ ტერიტორიაზე პოლიციის შენობის აშენება იგეგმებოდა. თუმცა, ეს ვერსია ოფიციალურად არ დასტურდება.

# ნინო ბურჯანაძე: იმედია, ქართული ოცნება“ სამართლიანობას ნაწილობრივ აღადგენს“



პოლიტიკური პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, კარგია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ახლა მაინც მოიცალა იმისათვის, რომ სამართლიანობის აღდგენის გზაზე გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას.

აღნიშნული განცხადებით ნინო ბურჯანაძე, მთავარ პროკურატურაში, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნას გამოეხმაურა.

„ქართულ ოცნებას“ 2 წელი კოჰაბიტაციისთვის და საკუთარი პრობლემების მოგვარებისთვის დასჭირდა. ყველას კარგად ახსოვს, არჩევნებიდან სამ დღეში ბიძინა ივანიშვილისთვის დაბრუნებული 80 მილიონი, თამაზ თამაზაშვილის ძალიან სწრაფი გათავისუფლება. „ქართული ოცნების“ წევრებისათვის სამართლიანობა ძალიან მალე აღდგა, მაგრამ მათ არ გახსენებიათ მაშინ იმ ადამიანების პრობლემები, რომლებიც, მათ მიმართ განხორციელებული უსამართლობის გამო, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. არსებობს მეორე ფაქტორიც: მათ იმდენად ეშინიათ, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიმართ თუნდაც სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებით დასავლეთი არ გაანაწყენონ, რომ ასეთ ნაბიჯებზე არ წასულან. ამას ნამდვილად არ სჭირდებოდა 2 წელი, ეს შეიძლებოდა შექმნილიყო პარლამენტის შეკრების დღესვე, ასეთ შემთხვევაში დღეს ძალიან ბევრი საქმე იქნებოდა გამოძიებული და ადამიანების პრობლემები ვისაც კრედიტები და ვალები აწევთ კისერზე მოგვარებული იქნებოდა“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმთ, ახლა, როდესაც საუბარია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, ან თუნდაც იმაზე რომ რიგითი არჩევნები გვიახლოვდება, ამაზე საუბარი გააქტიურდა.

„კარგია, რომ ახლა მაინც შეიქმნა ეს განყოფილება, იმედი მაქვს, რომ ინტენსიურად იმუშავებს. პროკურატურის მხრიდან უკვე განხორციელებული ქმედებები დიდ იმედებს არ მაძლევს, მაგრამ იმედი მინდა ვიქონიო, რომ თუნდაც საარჩევნოდ, „ქართული ოცნება“ შეეცდება ადამიანების გარკვეული ნაწილის მიმართ მაინც აღდგეს სამართლიანობა. სამართლიანობის აღდგენა აუცილებლად მოიტანს იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ მოუწევს უპირველეს ყოვლისა პასუხი მოსთხოვოს სწორედ იმ ადამიანებს, ვინც ეს დამნაშავე და უსამართლო რეჟიმი შექმნა“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

# ჟურნალისტ ირაკლი გედენიძეს სცემეს

გუშინ, 4 მარტს, რესპუბლიკის მოედანზე ინციდენტი მოხდა.

აქცია „შემოულაწუნეს“ მონაწილემ „ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტ ირაკლი გედენიძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და კამერა დაუმტვრია.

ირაკლი გედენიძეს აქციის მონაწილემ თავში ურტყა, რის შედეგადაც მრავლობითი დაზიანებები აქვს მიღებული. მას კბილები აქვს დაზიანებული.

ირაკლი გედენიძე აქციას აშუქებდა, როდესაც ერთ-ერთი ავტომანქანიდან გადმოსულმა აქციის მონაწილემ გედენიძე პროვოკაციაში დაადანაშაულა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და ფოტოკამერა დაუმტვრია.

ინციდენტის ადგილზე სასწრაფო დახმარების ექიმები და პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ. ექიმებმა ჟურნალისტს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს.

ფოტოგრაფის თქმით, ის აქციის სამზადისს იღებდა, როდესაც მასთან აქციის ერთ-ერთი მონაწილე მივიდა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. თავად აქციის ორგანიზატორებისთვის, მათივე თქმით, ამ პირის ვინაობა უცნობია.

აქციის ორგანიზატორია სამი პოლიტიკური ძალა: „რეფორმატორები“, „თავისუფალი საქართველო“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“. მათ აღნიშნული აქცია სახელწოდებით — „შემოულაწუნე“ რამდენიმე ხნის წინ დააანონსეს. მათი თქმით, ისინი ლარის გაუფასურებისა და ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას აპროტესტებდნენ. გუშინ ისინი „ვარდების“ მოედანზე შეიკრიბნენ და ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციისკენ მსვლელობას მართავდნენ.




◆ ◆ ◆

ირაკლი გედენიძე სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანა.

ექიმებმა მას პირველი დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს და შესაბამისი გამოკვლევების ჩასატარებლად საჭიროდ ჩათვალეს მისი კლინიკაში გადაყვანა.

ირაკლი გედენიძის ცემის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცემას გულისხმობს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა.

მისი თქმით, ადგილზე მიყვანილნი შსს-ს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები და მიმდინარეობს გამოძიება.

◆ ◆ ◆

ინფო 9-ის ცნობით, ირაკლი გედენიძე მატერიალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.

# ლარის გაუფასურებამ ფასების ზრდა გამოიწვია

## ინფლაციის დონემ საქართველოში 1.3 პროცენტი შეადგინა



**სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ფასების მატებასა და ინფლაციაზე თებერვლის ოფიციალური მონაცემები გამოაქვეყნა.**

მიმდინარე წლის იანვართან შედარებით, თებერვალში ჯანდაცვის მიმართულებით ფასები გაიზარდა 0.9%-ით. აღსანიშნავია ფასების მატება სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფზე 2.4%-ით. ფასები გაიზარდა ასევე ამბოლატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე (0.7%) და საავადმყოფოების მომსახურებაზე (0.3%).

ტრანსპორტის მიმართულებით, აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა ფასების 2.4%-იანი კლება, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0.27 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-4.3%).

თებერვალში ინფლაციის მაჩვენებელმა იანვართან შედარებით 0.1% შეადგინდა და მის ფორმირებაზე მოცემულ პერიოდში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სწორედ ჯანმრთელობის დაცვისა და ტრანსპორტის მიმართულებით.

გაძვირდა: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები 0.1%-ით; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო – 1.0%-ით; საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი – 0.4%-ით; ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა – 0.5%-ით, ჯანმრთელობის დაცვა – 0.9%, დასვენება, გართობა და კულტურა – 0.7%, განათლება – 0.5%, სასტუმროები, კაფეები და რესტორნები 0.7%, სხვადასხვა საქონელი და მომსახურება – 1.5%.

გაიაფდა: ტანსაცმელი და ფეხსაცმელი – 1.2%-ით, ტრანსპორტი – 2.4 %-ით და კავშირგაბმულობა – 0.1%-ით.

◆ ◆ ◆

2015 წლის თებერვალში 2014 წლის თებერვალთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.3 პროცენტი შეადგინა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ ჯანმრთელობის დაცვაზე, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე და ტრანსპორტზე.

კერძოდ, ჯანდაცვის მიმართულებით ერთწლიან პერიოდში ფასები გაიზარდა 6.4 %-ით. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფებზე 11.1%-ით, ამბოლატორიულ მომსახურებაზე 4.2%-ით და საავადმყოფოების მომსახურებაზე 5.2%-ით.

სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 1.9%-ით. ხილზე და ყურძენზე ფასი გაიზარდა 18.6%-ით, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე – 4.2%-ით.

ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე ფასები შემცირდა 6.1%-ით.

ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე ფასები გაიზარდა 8.1%-ით. თამბაქოს ნაწარმზე ფასები გაიზარდა 10.6%-ით.

ტრანსპორტის ჯგუფზე ფასები შემცირდა 7.8%-ით. ფასებმა იკლო სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (12.9%). თუმცა, ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (10.1%).

ამ პერიოდში ფასების ზრდა ასევე შეეხო სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებს (1.9%); საცხოვრებელს, წყალს, ელ.ენერგიასა და აირს (1.3%); ავეჯს, საოჯახო ნივთებს, სახლის მოვლას (2.1%); დასვენებას, გართობას და კულტურას (1.1%); განათლებას (2.4%); სასტუმროებს, კაფეებს და რესტორნებს (2.8%); სხვადასხვა საქონელს და მომსახურებას(2.4%).

კლება კი აისახა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე (5.4%) და კავშირგაბმულობაზე (0.4%).

◆ ◆ ◆

საკვები პროდუქტის ფასმა მოიმატა. როგორც „ინტერპრესნიუსს" სავაჭრო მარკეტებში განუცხადეს, ფასი თითქმის ყველა სახის პროდუქტზე გაიზარდა.

მათი ინფორმაციით, ზეთზე ფასმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში საშუალოდ 50 თეთრით მოიმატა. 25 თეთრზე მეტით არის გაძვირებული შაქარი და წიწიბურა. ასევე გაზრდილია ტკბილეულის, ყავის, მარილის, ჰიგიენური და სარეცხი საშუალებების ფასი.

გარდა ამისა, 1 მარტიდან გაძვირდა ალკოჰოლური სასმელებიც, რასაც აქციზის გადასახადის ზრდას უკავშირებენ. სულ მცირე 20 %-ით არის გაზრდილი არყისა და ლუდის ფასი, გარდა „ნატახტარისა".

10-დან 25 თეთრამდეა გაძვირებული „კოკა-კოლას" ყველა სახის პროდუქცია. მაგალითად, 0.5 ლიტრიანი „კოკა-კოლა", „ფანტა" და „სპრაიტი" მარკეტებში, 1.10 ლარის ნაცვლად, ბოლო სამი დღეა, 1.20 ლარად იყიდება.

როგორც მოვაჭრეები აცხადებენ, ფასების ზრდა ძირითადად მას შემდეგ დაიწყო, რაც ლარმა გაუფასურება დაიწყო.

## ლარი გამყარებას განაგრძობს

აშშ დოლარის ოფიცალური კურსი 2.10 ლარი გახდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის მიხედვით, ლარი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ გამყარებას განაგრძობს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარის ახალი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, დღეიდან, 5 მარტიდან, 1 დოლარის შეძენა 2.1078 ლარად იქნება შესაძლებელი.

ბანკთაშორის ვაჭრობის შედეგად, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც მანამდე მოქმედებდა, 2.1403 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0325 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, 5 მარტიდან 1 ევროს შეძენა 2.3443 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა მოქმედი კურსი 2.4008 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0565 ლარი შეადგინა.

## კახი კალაძე: ლარის კურსის გასამყარებლად გეგმა გვაქვს"



ენერგეტიკის მინისტრისა და ვიცე-პრემიერის კახი კალაძის განცხადებით, პროდუქციებზე ფასების მატება ლარის გაუფასურებამ გამოიწვია, თუმცა, მისივე თქმით, არსებობს გარკვეული გეგმა, რომ ლარის კურსის გამყარების ტენდენცია გაგრძელდეს.

ვიცე-პრემიერი აცხადებს, რომ ამისთვის ბიუჯეტის რაციონალურად ხარჯვა მოხდება და კონკრეტული მიმართულებებით ინვესტიციები განხორციელდება.

„ფასების მატება ლარის გაუფასურების გამოა გამოწვეული და ეს ყველაფერი იმ პროდუქციაზე აისახება, რომლის იმპორტირებაც ხდება. არსებობს გარკვეული გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ლარის კურსი შენარჩუნდეს. ლარს გამყარება დაწყებული აქვს და იმისთვის, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს, კონკრეტული ნაბიჯები იქნება გადადგმული: ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვა მოხდება, ასევე კონკრეტული მიმართულებებით ინვესტიციები განხორციელდება", – განაცხადა კახი კალაძემ.

გარკვეულ იმპორტირებულ პროდუქციაზე დღეიდან ფასები იზრდება. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე საწარმო პურის ფასსაც ზრდის, თუმცა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნოდარ კერესელიძეს განცხადებით, ქვეყანაში ხორბლის საკმაო მარაგია და პურის ფასის გაძვირება არ იგეგმება.

ნიუსპრესი

## ნოდარ ხადური: თებერვალში ინფლაცია საკმაოდ დაბალია"



ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, წელს ინფლაცია 15%-ზე დაბალი იქნება.

მისი თქმით, ეროვნულ ბანკს მიზნობრივი ინფლანციის მაჩვენებელი 15% აქვს.

„თებერვალში ინფლაცია საკმაოდ დაბალია. ეროვნულ ბანკს მიზნობრივი ინფლანციის მაჩვენებელი 15% აქვს, თუმცა, ჩვენ ველოდებით, რომ წელს ინფლაცია უფრო დაბალი იქნება",-განაცხადა ხადურმა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ინფორმაციით, მიმდინარე წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 0,1 პროცენტი შეადგინა. 2015 წლის თებერვალში 2014 წლის თებერვალთან შედარებით კი ინფლაციის დონემ 1,3 პროცენტი შეადგინა.

ნიუსპრესი

## ემზარ ჯგერენაია ექსპორტის შემცირებას პროგნოზირებს



ეკონომიკის საკითხებში ექსპერტის ემზარ ჯგერენაიას განცხადებით, ის პრობლემები, რაც დღეს საქართველოს წინაშე დგას, ჯერ კიდევ 6 თვის წინ ადვილად პროგნოზირებადი იყო, რადგან მათი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საგარეო ფაქტორებია.

ეკონომიკური პრობლემის შექმნა, ჯგერენაიას თქმით, გარკვეულწილად რუსეთ-უკრაინის ომით, რუსეთის მიმართ ევროპის მიერ დაწესებული სანქციებით და ევროპაში კრიზისით არის განპირობებული.

„აღნიშნული პრობლემების გამო მკვეთრად შემცირდა საქართველოში ექსპორტისა და ტურისტების რაოდენობა, მით უფრო, რომ, ექსპერტის განმარტებით, ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტი სწორედ ამ ორ ქვეყანასთან გვაქვს, ტურისტები კი ყველაზე დიდი რაოდენობით უკრაინიდან შემოდიან. კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი ტრანსფერების შემცირებაც გახდა",-განაცხადა ჯგერენაიამ „კვირას" პრესკლუბში.

მისი განმარტებით, რუსეთში ევროპის მიერ დაწესებული სანქციების გამო ცხოვრება იმდენად გართულდა, რომ რუსეთიდან საქართველოში ფულის გადმორიცხვებმა საგრძნობლად იკლო.

მისივე თქმით, ეს აისახა საქართველოს ეკონომიკაზეც, რადგან ტრანსფერების საერთო ჯამის 80% სწორედ რუსეთიდან მოდის. ჯგერენაიამ ხელისუფლებას ერთგვარი რეკომენდაციები მისცა და იმ ნაბიჯების შესახებ ისაუბრა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიდგას.

„იქიდან გამომდინარე, რომ ამ მდგომარეობის პროგნოზირება მარტივი იყო, აუცილებელი იყო ჯერ კიდევ ნოემბერ-დეკემბერში შემუშავებულიყო ანტიკრიზისული გეგმა. აუცილებელია მმართველობითი ხარჯები შემცირდეს, უნდა მოხდეს ბიზნესის პროვოცირება და გაიზარდოს ინვესტიციები. ჩემი ვარაუდით, ეკონომიკის დაგეგმილი 5%– იანი ზრდა 3% -მდე შემცირდება. 2015 წელს ექსპორტის შემცირებაა მოსალოდნელი, თუმცა მარტის თვეში ეკონომიკის გაუმჯობესებას ველოდები",-განაცხადა ჯგერენაიამ და აღნიშნა, რომ ლარი, სავარაუდოდ, გაზაფხულზე 2,0-ზე ჩამოვა.

ნიუსპრესი

## დავით საყვარელიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა



დავით საყვარელიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს, დავით საყვარელიძეს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა. შესაბამისი დადგენილება პარლამენტმა დღეს 78 ხმით დაამტკიცა.

დავით საყვარელიძე უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილედ დაინიშნა, რაც საქართველოს პარლამენტის წევრობასთან შეუთავსებელი თანამდებობაა.

საყვარელიძეს პარლამენტში ეკა ხერხეულიძე შეცვლის.

ინტერპრესნიუსი

## თამარ კორძაია „ქართულ ოცნებას" არ ტოვებს



საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი თამარ კორძაია ფრაქციას არ ტოვებს.

თამარ კორძაიას თქმით, პრეტენზიები შეიძლება ერთმანეთის მიმართ არსებობდეს და სწორედ განსხვავებული პოზიციების გამოა მისთვის მისაღებია ფრაქციაში ყოფნა.

მისივე თქმით, პირადად არ ესწრებოდა ფრქაციაში დახურულ შეხვედრას, რომელზეც უმრავლესობა მის განსხვავავებულ პოზიციასთან დაკავშირებით პრეტენზიებს გამოთქვამდნენ.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია თამარ კორძაიას ფრაქციიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ.

მედიანიუსი

## სავალუტო ფონდი ეროვნულ ბანკზე პოლიტიკური თავდასხმებისგან" თავის შეკავებას გვირჩევს

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა მარკ გრიფიტსმა, გუშინ, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

ამის შესახებ მან სავალუტო ფონდის მისიის საგანგებო, შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მარკ გრიფიტსი, ეროვნული ბანკის მიერ, ლარის დევალვაციის პროცესში გადადგმულ ნაბიჯებს დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ საქართველოსთვის ეროვნულ ბანკზე პოლიტიკური თავდასხმები მომგებიანი არ არის.

„ჩემთვის უცნობია რა ბრალდებებს უყენებენ ეროვნული ბანკის მმართველს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ბანკის დამოუკიდებლობა დაცული იყოს. ის კარგად მუშაობს. ამ რთულ დროს, პოლიტიკური თავდასხმები ქვეყნისთვის მომგებიანი არ არის", – განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა.

ნიუსპრესი

## უფასო ფულის ინიციატივა პარლამენტმა არ გაიზიარა

პარლამენტმა არ გაიზიარა. ნაციონალური მოძრაობის წევრის, გოგა ხაჩიძის პროექტს 39 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგ 36 წავიდა და კენჭისყრის ამ შედეგით პროექტი „ჩავარდა".

საკითხი პირველი მოსმენით პარლამენტში 20 თებერვლის სესიაზე განიხილეს. ხაჩიძის მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბანკებიდან მიღებული ფინანსური რესურსის ხარჯები მთლიანად საპარტნიორო და საინვესტიციო ფონდებიდან იფარებოდა. პროექტის თანახმად, უფასო ფულით სარგებლობის ფარგლებში, ბანკის მიერ გაცემული თანხა 2 000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს და არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

პროექტის მიხედვით, „უფასო ფულის შესახებ" კანონპროექტი 2015 წლის 1-ელი აპრილიდან 2030 წლის 31 დეკემბრამდე იმოქმედებდა.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# საბურთალოს გამგეობის თანამშრომელი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს

## მიხეილ ქვირიას 7-დან 11 წლამდე ციხე ემუქრება

ნათია ხურცილავა

საბურთალოს რაიონის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მიხეილ ქვირია ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 3 მარტს მიხეილ ქვირიამ ინდოეთის და ერაყის მოქალაქეებს თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბურთალოს რაიონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6.300 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესაძენად აუქციონის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 10.000 აშშ დოლარი.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების 7-დან 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

ძიებას შს სამინისტრო აწარმოებს.

◆ ◆ ◆

მომხდარ სკანდალურ ფაქტზე გუშინ, 4 მარტს, ჟურნალისტებთან კომენტარი საბურთალოს რაიონის გამგებელმა გააკეთა.

ბექა მიქაუტაძის განცხადებით, გამგეობა შესაბამის საგამოძიებო სტრუქტურებთან სათანამშრომლოდ მზად არის.

**ბექა მიქაუტაძე:**

— ვადასტურებთ, რომ დაკავებულია საბურთალოს გამგეობის თანამშრომელი მიხეილ ქვირია. სამწუხაროდ, ვერ მოგახსენებთ, რაშია საქმე იმიტომ, რომ არავითარ ინფორმაციას არ ვფლობ. განვაცხადებ ერთს, რომ ის გამგეობის სტრუქტურაში 2010 წლიდან მუშაობს. ამჟამად ის არის მოვალეობის შემსრულებელი, რადგანაც საკონკურსო გამოცდები ვერ ჩააბარა და მოვალეობის შესრულების ვადა აპრილამდე აქვს. საბურთალოს რაიონის გამგეობა მზად არის გამოძიებასთან სათანამშრომლოდ და ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ სიმართლე დადგინდეს.

გუშინ თბილისის მთავრობის სხდომაზე მიხეილ ქვირიასთან დაკავშირებით დედაქალაქის მერს განცხადება არ გაუკეთებია, საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილე ლუკა კანკავა კი რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლა:



ბექა მიქაუტაძე

— მიმდინარეობს გამოძიება, ნუ დავარღვევთ მისი უდანაშაულობის პრეზუმპციას. დამატებით დეტალებს მოგვიანებით გაცნობებთ და გავავრცელებთ ინფორმაციას.

კითხვაზე, რა პრევენციული ღონისძიება ტარდება გამგეობაში იმისთვის, რომ მსგავსი ფაქტები არ მოხდეს, კანკავას პასუხი არ აღმოაჩნდა.

◆ ◆ ◆

შს სამინისტრომ გუშინ, 4 მარტს, საბურთალოს რაიონის გამგეობის უფროსი სპეციალისტის დაკავების შესახებ ასეთი განცხადება გაავრცელა:

— შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი მიხეილ ქვირია დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 3 მარტს მიხეილ ქვირიამ ინდოეთის და ერაყის მოქალაქეებს თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, საბურთალოს რაიონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6.300 კვ.მ მიწის ნაკვეთის შესაძენად აუქციონის მომზადებისა და ჩატარების უზრუნველყოფაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 10.000 აშშ დოლარი.

განცხადება საბურთალოს რაიონის გამგეობამაც გაავრცელა:

— დაკავებული მიხეილ ქვირია მუშაობდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებლად და მისი უფლებამოსილების ვადა იწურება აპრილში, ვინაიდან მან ვერ გაიარა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა კონკურსი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გამგეობებს საკუთრებაში არ გააჩნიათ მიწის ნაკვეთები, შესაბამისად, მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების დადგენა-მინიჭება-პრივატიზაცია გამგეობის კომპეტენციას არ განეკუთვნება.

საბურთალოს რაიონის გამგეობა მზად არის საგამოძიებო სტრუქტურებთან თანამშრომლობისათვის და ხელს შეუწყობს აღნიშნული ფაქტის ირგვლივ სიმართლის დადგენას, რათა ნებისმიერი სახის დანაშაული იქნეს გამოძიებული და ბრალდებულმა პირმა, მიუხედავად მისი სამსახურებრივი მდგომარეობისა, პასუხი აგოს კანონის წინაშე.

# სოსო ცისკარიშვილი: მეიშვილის ღირსი ხარ, შენ, პარლამენტო!“

## „საგანელიძის შესახებ საუბარზე დროის დაკარგვა მენანება“

ნონა ცაბაძე

**დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილს „ახალი თაობა“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებზე ესაუბრა.**

***— ბატონო სოსო, პროკურატურაში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი, რომელმაც ქვეყანაში თურმე დავგიანებული სამართლიანობა უნდა აღადგინოს. გჯერათ ამ ყველაფრის და სად იყვნენ აქამდე?***

— დიახ, უნდა დავსვათ კითხვა, აქამდე რატომ არ შეიქმნა ასეთი სტრუქტურა?! ასეთი პოლიტიკური ნება არ აღმოაჩნდა „ქართულ ოცნებას“, რაც ასე დიდი ზიანის მომტანი აღმოჩნდა სწორედ ამ პოლიტიკური ძალის მიმართ. ცხოვრებამ აიძულა და იმ სირთულეებმა, რომლებშიც აღმოჩნდა „ქართული ოცნება“.

***— ახლა რა შეიცვალა, რატომ გააქტიურდნენ და ამის მიზეზი ხომ არ არის ვადამდელი არჩევნები?***

— ვადამდელი არჩევნები „ქართული ოცნების“ ლიდერთა გონებაში იხარშება. არა აქვს მნიშვნელობა, იგი დაინიშნება თუ დაელოდებიან საკონსტიტუციო ვადას, ფაქტია, რომ მომავალი არჩევნები არის სრულიად საფუძვლიანი თავის ტკივილი დღევანდელი ხელისუფლების წარჩინებულთათვის. როდესაც უზარმაზარი წარმატების შემდეგ ორიოდე წელიწადში შენი რეიტინგი ასე ეცემა, აუცილებელია შეცდომების გაანალიზება. იმედია, რომ სწორედ ასეთი ანალიზის შედეგია და არა — რაიმე დავალების მიღებისა, რომ ასეთი ორგანო შეიქმნა.

***— ვადამდელ არჩევნებს აქტუალურად არ მიიჩნევთ?***

— თემა აქტუალურია როგორც ხელისუფლების ცნობიერებაში, ასევე მთავარი მოთხოვნილებაა არასაპარლამენტო ოპოზიციისა. თუმცა ისიც გვესმის, რომ თუ არ შეიცვალა არსებული



კანონმდებლობა, საარჩევნო კოდექსი, მაშინ მივიღებთ იმავე შედეგს, რასაც იღებდა ქვეყნის სათავეში მყოფი ხელისუფლება 2004 წლიდან 2014 წლის ჩათვლით.

***— საქმეც სწორედ ესაა, აწყობს ხელისუფლებას კოდექსის შეცვლა?***

— უმრავლესობას აწყობს ის, რომ მიიღოს ბევრი ხმა. თუ საზოგადოება დარწმუნდება, რომ უმრავლესობა მხოლოდ საკუთარი სავარძლის ინტერესებით არის გაჯერებული და არა რაიმე რეალური სიკეთით ქვეყნისათვის, მაშინ დასათვლელიც აღარაფერი ექნებათ არჩევნების შემდეგ! ამიტომ მხოლოდ საღი აზრი იქნება შეფასების კრიტერიუმი ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის. მთავარი საყრდენი „ქართული ოცნების“ წარმატებისა გახლავთ ნაციონალური მოძრაობა, თავისი უმეცარი პოლიტიკური სტრატეგიით და სრულიად უტიფარი მზაობით, ჭკუა ასწავლონ ყველას, დღეში 24 საათის განმავლობაში.

***— მინდა გკითხოთ საგანელიძის ირგვლივ ატეხილ სკანდალებზე, ჯერ ითქვა, რომ მან დატოვა უმრავლესობა, თუმცა მოგვიანებით გამოვიდა და განაცხადა, რომ ვერ მოვართვით, უმრავლესობაში ვრჩებიო. რა ხდება, რა ინტრიგებთან გვაქვს საქმე?***

— ჩვენ გვაქვს კონფლიქტი საკუთარ ცნობიერებასთან. ვგულისხმობ თემატიკას. ეს საკითხი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასზე დროის დაკარგვა მენანება. სრულიად არაადეკვატური ვითარება, რაც პარლამენტში შეიქმნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურასთან დაკავშირებით, ძალაუნებურად ბადებს განცდას იმისას, რომ „მეიშვილის ღირსი ხარ, შენ, პარლამენტო!“

***— ფიქრობთ, რომ ჩავარდება ნინო გვენეტაძის კანდიდატურა?***

— ძალიან ცუდად გამოიყურებიან, მათ შორის, ჩემი ახლობელი დეპუტატებიც, როცა უწევთ საუბარი ამ თემაზე. ეს თემა აქამდე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ვერ დავწამებთ დეპუტატებს, რომ ეს არის მხოლოდ მათი დავის საგანი. ჩვენ გვახსოვს, რამდენი ხანი დასჭირდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს შექმნას. თავი და თავი ამისა გახლავთ არცთუ მტკიცედ შედუღაბებული კოალიცია. მასში შემავალ პარტიებს უჭირთ რაიმეს დათმობა. არის ერთი წამყვანი პოლიტიკური პარტია, რომელსაც ჰქვია „ქართული ოცნება“. მას გააჩნია ყველა სადავე როგორც პოლიტიკური სივრცეში, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში და გული უსკდებათ, გაითუ სასამართლო ხელისუფლება არ აღმოჩნდეს მათთვის სიმპათიის გამომხატველი.

***— ეკონომიკური კუთხითაც მძიმე მდგომარეობა გვაქვს. ფასებმა სერიოზულად იმატა, ხელისუფლება კი მაინც გვეუბნება, ყველაფერი კარგად იქნებაო. როგორც გავიგეთ, საპარლამენტო უმრავლესობა ქადაგიძის იმპიჩმენტისთვის ემზადება. მხოლოდ ქადაგიძის ბრალია ეს ყველაფერი?***

— ნოდარ ჯავახიშვილმა, რომელიც ჩემთვის ყველაზე ავტორიტეტული პიროვნებაა ამ სფეროში, ორ სატელევიზიო ეთერში ჩამოაყალიბა მკაფიო საბრალდებო დასკვნა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ, რის შემდეგაც ტერმინი იმპიჩმენტი ამოტივტივდა დეპუტატთა მეხსიერებაში. ნაციონალური მოძრაობის მკაფიო აქტივისტი დღემდე იკავებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობას, ისე, რომ ბოდიშიც კი არ მოუხდია, როცა „ქართუ ბანკის“ მიერ ნაციონალების ფავორიტი „საქართველოს ბანკიდან“ გამოტანილ იქნა 3 მილიონი და სწორედ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნათლავდა ამ თანხას შავ ფულად.

***— სწორია ის ბრალდებები, რომლებიც ქადაგიძის მისამართით წამოვიდა?***

— ამის საფუძველი არსებობს, ოღონდ არ შეიძლება სრულიად განსხვავებული შემადგენლებისგან წარმოქმნილი პრობლემა დაბრალდეს მხოლოდ ეროვნულ ბანკს. იგივე პროცესები და უფრო მწვავეც მიმდინარეობს უკრაინაშიც, სადაც პოლიციის ძალით გადაარჩინეს თავდასხმას და ფიზიკურ ზეწოლას უკრაინის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ქალი. უკეთესი არ ხდება მოლდოვაში, სომხეთში, აზერბაიჯანში. ვერავინ დააბრალებს ქადაგიძეს, რომ მან გაამყარა მსოფლიოში დოლარი. აქაც საჭიროა მთავარი გზავნილი და ეს არ უნდა აისახოს მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებაში და სურვილში, არამედ ეს გზავნილი უნდა იყოს დამაჯერებელი თავად ჩვენი მოსახლეობისთვის. თუ რაიმე ტიპის თვითკრიტიკის მოწმენი ვერ გავხდით მთავრობის მხრიდან, იქნება ისევ ის გულგატეხილობა, რაც ვერაფერ სიკეთეს მოუტანს ხელისუფლებას.

# Freedom House საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ

მართლმსაჯულების კრიზისი 2006-2012 წლების საქართველოში. ამ თემაზე მსჯელობდნენ გუშინ, 4 მარტს ვაშინგტონის ამერიკულ უნივერსიტეტში, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით ჩატარდა.

Freedom House-ის წარმომადგენელმა ამორალური უწოდა საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომლითაც, ფინანსური რესურების არქონის მიზეზის გამო, უარი ითქვა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნაზე.

დისკუსიის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს არა მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმი, არამედ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც, რომელმაც დღემდე ვერ შეძლო ჩამოაყალიბებინა მექანიზმი, რომ მომხდარიყო პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებულებისა და დევნილების რეაბილიტაცია.

დისკუსიის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავდნენ, იმისათვის, რომ საქართველო გადავიდეს განვითარების ახალ ეტაპზე, აუცილებლად უნდა მოხდეს პოლიტიკური დევნილების სრული რეაბილიტაცია, მათთვის ღირსეული კომპენსაციის გადახდა და იმ დამნაშავე პირების დასჯა ვინც ახორციელებდა ამ პოლიტიკურ დევნას.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, Freedom House-ის, American University-ს და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ღონისძიებაში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

2013 წლის ბოლოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია აღარ შეიქმნება.

„კომისიის შექმნას არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ მთავრობამ მიიჩნია, რომ ძალიან ფრთხილად არის გასათვლელი ის შედეგები, რაც შესაძლოა, ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მივიღოთ. თუ ადამიანს გაამართლებ, მას გაუჩნდება მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება, ამისთვის კი დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა მზად არ არის. სწორედ ამ ერთადერთი მიზეზის გამო ჩათვალა მთავრობამ, რომ ამ კომისიის შექმნა ამ ეტაპზე ნაადრევია“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

ნიუსპრესი

# გლდანის ციხეში მოშიმშილე პატიმრების მდგომარეობა გაუარესდა

საქართველოში, გლდანის ციხეში, 37 დღიანი შიმშილობის შემდეგ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების მდგომარეობა გაუარესდა. როგორც ერთ-ერთი პატიმრის დედა ლუდმილა უსოვიჩი აცხადებს, შიმშილობის გამო, ამ დღეების განმავლობაში მისმა შვილმა 8 კილოგრამზე მეტი დაიკლო. მისივე განცხადებით, პასუხისმგებლობა მოშიმშილე პატიმრებზე, ციხის ადმინისტრაციამ აიღო.

„ჩემი შვილის მდგომარეობა ძალიამ მძიმეა. მე არ შემიძლია მას დავურეკო, თუმცა თვეში ერთხელ ციხის ადმინისტრაციის ნებართვით ის თვითონ მირეკავს. შიმშილობის გამო, ის ჯერ კიდევ თებერვლის შუა რიცხვებში ძალიან სუსტად იყო. რასაც ისინი ციხეში განიცდიან აუტანელია. ნუთუ ასე რთულია მათთვის სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა“, — განაცხადა დაკავებულის დედამ.

როგორც „კავკაზსკი უზელ“-თან კიდევ ერთი პატიმრის გიორგი ვალიევის ცოლი აცხადებს, მის მეუღლეს თირკმელებთან დაკავშირებით ისედაც პრობლემები ჰქონდა და ხანგრძლივი შიმშილობა ჯანმრთელობაზე კიდევ უფრო უარესად მოქმედებს.

დაკავებულების ახლობლები ასევე აცხადებენ, რომ ჯანმრთელობის გაუარესების მიუხედავად, მოშიმშილეები პროტესტზე უარს არ ამბობენ.

ლუდმილა უსოვიჩის განცხადებით, მისი შეხვედრა დაკავებულ შვილთან 19 მარტსაა დაგეგმილი, თუმცა ის წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, შეხვედრის თარიღი გადმოწიონ.

როგორც გამოცემასთან, სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა, მოშიმშილე პატიმრების საკითხს და მათ მოთხოვნებს ქართულ მხარესთან, 17-18 მარტს დაგეგმილ ჟენევის დისკუსიაზეც განიხილავენ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამმა მოქალაქემ გიორგი ზაცეევმა, გიორგი ვალიევმა და იოსებ კოჩიევმა, გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უვადო შიმშილობა 26 იანვარს დაიწყეს.

პატიმრები სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვასა და მათი საქმეების ხელახალ გამოძიებას ითხოვენ. 10 თებერვლის მონაცემებით, გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსგავსი მოთხოვნით, 46 პატიმარი შიმშილობდა.

ნიუსპრესი

# ჯემალ გამახარია: ამერიკამ აფხაზებისთვის სავიზო პოლიტიკა შეარბილა“

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარიასთან



**ქართული ოფიციალური პოლიტიკა არ არის მიმართული იქითკენ, ხელი შეუწყოს რუსეთის დაშლას. რუსეთს თუ უნდა ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნოს, ჩვენ თავი უნდა დაგვანებოს და თავის ტერიტორიაზე, რაც უნდა, ის აკეთოს.**

***— ბატონო ჯემალ, მოგეხსენებათ, ერთ მხარესაა ევროპის, დასავლეთის ინტერესები, მეორე მხარეს — რუსეთის, მესამეა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები, რომელიც, ფაქტობრივად, დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიულ გამთლიანებასთან, დღევანდელი რთული პოლიტიკური ლაბირინთებიდან უვნებლად ამოსვლასა და თავის გადარჩენასთან. როგორ უნდა მოვახერხოთ ეს?***

— ჩვენთვის კარგადაა ცნობილი რუსეთის ინტერესი. მას ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორია. დასავლეთსაც აქვს თავისი ინტერესები. მართალია დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ არ დგამს ისეთ კონკრეტულ ქმედით ნაბიჯებს, რომ მოხდეს აფხაზეთის დეოკუპაცია. ფაქტობრივად, დაკონსერვებული კონფლიქტია, რა ვადით, არ ვიცით. დასავლეთს ბევრი სხვა პრობლემა გააჩნია. თუმცა, აფხაზეთის პრობლემა მათი პრობლემაცაა. რაც უფრო ადრე მიაქცევენ მეტ ყურადღებას, მით უფრო კარგი იქნება მათთვის. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. სანამ ეს პრობლემა არაა მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი, მანამ არ შეიქმნება ისეთი პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც განაპირობებს კონფლიქტის სტაგნაციის შეცვლას. მანამდე უნდა შევეცადოთ აფხაზეთში დარჩენილ ჩვენს მოქალაქეებთან დაახლოვებას, მათი მონაწილეობით სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას, ნდობის აღდგენას, რამდენადაც შესაძლებელია. სხვა გზა არ გაგვაჩნია. ხვალ და ზეგ აუცილებლად დადგება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ჟამი. შერიგების პოლიტიკა, სახალხო დიპლომატია, სხვადასხვა პროექტების განხორციელება აქეთკენ გადადგმული ნაბიჯია.

***— ახლახან აფხაზეთში სურკოვი იმყოფებოდა. მან თქვა, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის საზღვარი საჭირო არ არის. თქვენ როგორი რეაქცია გქონდათ მის განცხადებაზე?***

— სურკოვს ახალი არაფერი უთქვამს.

***— ცხადია, მაგრამ მისი ნათქვამი მაინც გულზე მოსახვედრი იყო.***

— ეს საზღვარი რუსეთისთვის არასოდეს არსებობდა. რა საზღვრის პრობლემა აქვთ რუსებს აფხაზებთან, როდესაც აღნიშნული ტერიტორია ოკუპირებული აქვთ და თვითონ აწესებენ საზღვარსაც, სასაზღვრო რეჟიმსაც. ყველაფერს თვითონ აგვარებენ. აფხაზური მხარის გადაწყვეტილება არ არის იმგვარი რეჟიმის არსებობა რეგიონში. ამას რუსეთი აკეთებს. უნდა რაღაცას შეცვლის, უნდა — არა. საბოლოო მიზანი ამ ტერიტორიის ანექსიაა, რის შემდეგაც ფორმალური საზღვარიც აღარ იქნება. სურკოვმა მოვლენებს გაასწრო და თქვა, საბოლოო მიზანი რა არის. ამან აფხაზეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. სეპარატისტებმა სურკოვის ნათქვამი შეალამაზეს და თქვეს, ევროპაში არიან დიდი სახელმწიფოები, რომლებსაც საზღვარი ფორმალურად აქვთ, იქ არავითარი მესაზღვრეები არ დგანან. ჩვენც რუსეთის ასეთი მოკავშირეები ვართ, ეს იგულისხმა სურკოვმა და არა საზღვრის მთლიანად გაუქმებაო, რაც მოსახლეობის დასამშვიდებლად და მოსატყუებლადაა ნათქვამი. ცხადია, რუსეთის მიზანია ამ ტერიტორიის სრული ანექსია და საზღვრების მოშლა.

***— ფაქტია, რომ რუსეთი ცდილობს საქართველო-რუსეთის საზღვარი ქვეყნის შუაგულში გადმოიტანოს. აფხაზეთსა თუ ცხინვალის რეგიონში ამ პოლიტიკას ყოველდღიურად ახორციელებს. ჩვენ როგორ შეგვიძლია დავუპირისპირდეთ მათ ამგვარ განზრახვებს?***

— რუსეთის განზრახვებს შეგვიძლია დავუპირისპირდეთ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში მკაცრი განცხადებებით. სამწუხაროდ, იარაღით წინ ვერ აღვუდგებით, რადგან მას მოჰყვება რუსეთის შეიარაღებული ძალების რეაქცია და სადაც მოუნდებათ, იქ გაავლებენ საზღვარს, რასაც იურიდიული ძალა არ გააჩნია, მაგრამ, ფაქტობრივად, ასეა. რუსეთის ქმედებები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს მთლიანად ქვეყანას, მოსახლეობას, რომელსაც ეს უშუალოდ ეხება. ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით ჩვენი საგარეო პოლიტიკის გააქტიურება და საერთაშორისო ორგანიზაციებში ამ საკითხის ძალიან მკაცრად დასმა. რა მნიშვნელობა აქვს, ტერიტორიას შეიარაღებული ბრძოლით და ომებით იპყრობს, თუ სარგებლობს დიდი სამხედრო უპირატესობით. სახელმწიფო საზღვარს, სადაც უნდა, იქ გაავლებს. ეს არის სახელმწიფო საზღვრის შეცვლა. ჩვენი ხელისუფლება უნდა შეუერთდეს იმ სანქციებს, რომელიც უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთს დაუწესეს. სანქციები ყირიმით დაიწყო და გამკაცრდა დონეცკსა და ლუგანსკში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. სანქციებში უნდა ჩაერთოს საქართველოც. რა მნიშვნელობა აქვს, ახლა ბრძოლები არის თუ არა, გადმოწია ოკუპაციის ხაზი და მიისაკუთრა ტერიტორია. თუ დასავლეთი ამაზე თვალს დახუჭავს, ხვალ და ზეგ დიდი პრობლემის სახით მიუბრუნდება, როგორც, სამწუხაროდ, არაერთხელ მომხდარა. დასავლეთმაც ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. სერიოზული რეაგირება დასავლეთის მხრიდან არ არის.

***— ცოტა ხნის წინ, აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის ჩირიკბას განცხადება გავრცელდა, რომელიც შეეხებოდა აფხაზებისთვის რუსეთის პასპორტით ამერიკაში შესვლის უფლებას, ანუ სავიზო რეჟიმის შერბილებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა. თქვენ თუ გაიგეთ, ამერიკამ მართლა დაუშვა რუსული პასპორტებით აფხაზების ამერიკაში შეშვება?***

— სამწუხაროდ, არ მოგვისმენია ამერიკული მხარის რეაქცია ამაზე. თუმცა, ჩირიკბამ ნამდვილად განაცხადა, რომ აშშ-მა შეარბილა სავიზო პოლიტიკა აფხაზეთის მცხოვრებთათვის, რომლებიც ამერიკაში აპირებენ შესვლას სოხუმში, რუსეთის საელჩოს მიერ გაცემული პასპორტებით. თუ ადრე არავინ ცნობდა რუსეთის საელჩოს მიერ სოხუმში გაცემულ რუსულ პასპორტებს, ახლა თითქოს აშშ-მა ამ პასპორტებით აფხაზეთის მოქალაქეებს ქვეყანაში შესვლის უფლება დართო. დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ, თუ აფხაზები აშშ-ში გაემგზავრებიან, იქნებ მათ იქ ის ნახონ, რასაც რუსეთში ვერასოდეს იხილავენ, მაგრამ თუ ეს მართლა მოხდა, რატომ მოხდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე. ალბათ, ამის პასუხს აშშ-გან გავიგებთ, რა მოხდა სინამდვილეში. თუმცა, ცუდს ამაში ვერაფერს ვხედავ.

***— ცუდს რატომ ვერ ხედავთ, ბატონო ჯემალ, ეს, ფაქტობრივად, საქართველოს ინტერესებისა და საქართველოს მხარის უგულებელყოფაა.***

— თუ ვინმე მოკავშირე ჰყავს საქართველოს, ეს არის აშშ. ამიტომ ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ნაბიჯს არ გადადგამენ, მაგრამ კარგი იქნებოდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სცოდნოდა, რა მიზნით ხდება ამგვარი რამ, ან თუ ხდება საერთოდ. ალბათ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ იცის, მაგრამ მე, სამწუხაროდ, ამის შესახებ რაიმე განცხადება დამატებით არ მომისმენია. ევროკავშირის ქვეყნებში კი აფხაზები ბევრს მუშაობენ, მაგრამ რუსული პასპორტებით რომ ჩავიდნენ, დიდი პრობლემები ექმნებათ. საუბარია იმ პასპორტებზე, რომელიც სოხუმში გაიცემა, თორემ თუ აფხაზმა მოსკოვში აიღო პასპორტი და ის რუსეთის მოქალაქეა, სადაც უნდა, იქ წავა.

***— მოგეხსენებათ, ახლახან აბაშიძე კარასინის შეხვდა. საუბარი იყო უშუალოდ აფხაზებსა და ოსებთან დიალოგის წარმოებაზე. რუსები ჩვენ მიგვიშვებენ აფხაზებსა და ოსებთან დასალაპარაკებლად?***

— ეს არის რუსული პოლიტიკა. თითქოს გვეუბნება, კი ბატონო, მიდით, გადაწყვიტეთ პრობლემები, სულაც არ ვართ წინააღმდეგი, რომ საერთოდ, გაერთიანდეთო. აფხაზები ამბობენ, ჩვენ არავითარი ორმხრივი მოლაპარაკება არ გვჭირდება, გვაღიარესო. რუსეთი ამბობს, წინააღმდეგი არ ვარო, მაგრამ...

***— თან მავთულხლართებს აბამს.***

— აფხაზებს არ უნდათ დალაპარაკებაო. ამით რუსები ვერავის მოატყუებენ, ვერც ქართულ მხარეს, ვერც მსოფლიოს და ვერც ვერავის საერთოდ. ეს არის რუსეთის ვერაგული, უსინდისო პოლიტიკა. თუ შეიძლება რუსეთის პოლიტიკის მიმართ სიტყვა სინდისი ვიხმაროთ.

***— თუ ვიცით ჩვენ ან ვინმემ ამ სახელმწიფოში, მართლა რომ შეგვეშვას რუსეთი, აფხაზებთან მოლაპარაკება შეიძლება?***

— რასაკვირველია, შეიძლება. თუ მოხდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დეოკუპაცია, დარწმუნებული ვარ, აფხაზებიც არ იქნებიან წინააღმდეგი და იმ დღესვე შესაძლებელია მოლაპარაკების გზით მოვაგვაროთ ურთიერთობა. თუმცა, სანამ საოკუპაციო ჯარი დგას აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიაზე, არავითარი მოლაპარაკება არ გაიმართება. რუსეთი კი ასეთ ფარისევლურ განცხადებებს გააკეთებს, ვითომ საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით. რუსები წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში და აფხაზებისა და ქართველების შერიგება თავისთავად მოხდება, სულაც არ სჭირდება ამას რუსების შუამდგომლობა.

***— ბატონო ჯემალ, თუ იცით, ახლა რუსეთი გალში რას ხლართავს? ჩვენთვის ცნობილია რუსეთის გეგმების თაობაზე ე.წ. აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით, ვიცით რუსების მცდელობები გალის მოსახლეობის წინააღმდეგ. ახლა ამბობენ, რომ გალში მეგრულის სწავლება შემოიღო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

— სამწუხაროდ და საუბედუროდ, ესეც არ არის ახალი თემა რუსეთისთვის. ასეთი მცდელობა პირველად რუსეთს მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ჰქონდა. ეს მცდელობა გრძელდებოდა 1917 წლამდე. ცდილობდნენ სამეგრელოსა და სამურზაყანოში მეგრულის სწავლება შემოეღოთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ეს არ მიიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ.

***— სამურზაყანო ახლა ოკუპირებულია და საშიშროება ხომ უფრო მეტია?***

— დიახ. შემდეგი მცდელობა იყო მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ყოველივე ამის პირველი მოწინააღმდეგე ადგილობრივი მოსახლეობა იყო. ახლა არის მესამე და ძალიან სერიოზული მცდელობა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას თავს მოახვიონ, თითქოს მათზე ზრუნვის საბაბით, მეგრული ტელევიზია, მეგრული ენა და ა.შ. რადგან დღეს აღნიშნული ტერიტორია ოკუპირებულია, საფრთხეც ბევრად მეტია, ვიდრე იყო მე-19 საუკუნის 80-იან წლებში. მაშინაც ოკუპირებული იყო, მაგრამ მაშინ რუსეთის საზღვარი მდინარე ენგურზე არ იყო. მაშინდელი სამურზაყანო გაერთიანებული იყო ქუთაისის გუბერნიასთან და ამის გადალახვა იოლად მოხდა. მოსახლეობამ რუსეთის შეთავაზება არავითარ შემთხვევაში არ მიიღო. იგივე მდგომარეობაა დღეს მოსახლეობის განწყობის თვალსაზრისით. მოსახლეობას ეს არაფერში სჭირდება. თუ მაინცდამაინც თავს მოახვიეს მეგრული ტელევიზია და სწავლება, დარწმუნებული ვარ, რუსებს არაფერი გამოუვათ. უბრალოდ, აქ ჩანს მათი განწყობა.

***— მოგეხსენებათ, მთელი მსოფლიო ცდილობს რუსეთს უკან დაახევინოს. ჩვენ ვნატრობთ, რუსეთი კავკასიიდან გავიდეს, რომ ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია მოხდეს. ზოგიერთი პოლიტიკოსი კი ფიქრობს, რომ რუსეთის კავკასიიდან გასვლა და დაშლა საქართველოსთვის კატასტროფა იქნება. კავკასია საქართველოსთვის საშიშია?***

— ქართული ოფიციალური პოლიტიკა არ არის მიმართული იქითკენ, ხელი შეუწყოს რუსეთის დაშლას. რუსეთს თუ უნდა ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნოს, ჩვენ თავი უნდა დაგვანებოს და თავის ტერიტორიაზე, რაც უნდა, ის აკეთოს. რასაკვირველია, ადამიანის უფლებები არსად არ უნდა ირღვეოდეს, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიაში. დღეს ჩრდილო კავკასია არის რუსეთის ნაწილი. ამიტომ მათ საქმეებში ვერ ჩავერევით. თუ რუსეთი მართლა გააგრძელებს იმ პოლიტიკას, რასაც ჰქვია მეზობელ ქვეყნებში სეპარატიზმის წაქეზება და დამოუკიდებლობანას თამაში (ცხინვალის რეგიონი, ფაქტობრივად, რამდენიმე სოფელია და ვითომ დამოუკიდებელია. ვითომ დამოუკიდებელია აფხაზეთიც), თავს თუ არ დაანებებს უკრაინას და საერთოდ, მეზობელ ქვეყნებს, რასაკვირველია, რუსეთი აღმოჩნდება ძალიან მძიმე მდგომარეობაში. სულაც არ არის გამორიცხული, ეს ქვეყანა დაიშალოს. ამის შესახებ მხოლოდ დასავლეთში კი არა, თვითონ რუსეთშიც ძალიან ბევრს წერენ. რაც უფრო ადრე შეეშვება რუსეთი საქართველოსა და უკრაინას, მით უფრო კარგია მისი ტერიტორიული მთლიანობისთვის, მაგრამ თუ რუსეთი გააგრძელებს თავის პოლიტიკას, ის დაიშლება. მე არავითარ საფრთხეს კავკასიის მხრიდან არ მოველი. ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს თითოეულმა ქართველმა. ჩვენ გვაქვს 1918-21 წლების გამოცდილება, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკა და საქართველო ძალიან ძლიერი მოკავშირეები იყვნენ. ბევრი მწარე გამოცდილებაც გვაქვს. ამიტომ აქედან დასკვნა მათაც უნდა გააკეთონ და ჩვენც. ასეთი დასკვნა, მგონი, გაკეთებულია. ამიტომ არავითარი საფრთხე არ გველოდება. თუმცა. საქართველოს პოლიტიკა არ მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს რუსეთის დაშლას. სამწუხაროდ, თვით რუსეთს თავისი უგნური პოლიტიკით საქმე რუსეთის დაშლისკენ მიჰყავს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და არაოპერაციო სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნივთიერებათა ცვლის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საგარანტიოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ნეთანიაჰუ აშშ-ს: არ ენდოს ირანს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ აშშ-ს კონგრესში გამოსვლისას შეერთებულ შტატებს მოუწოდა, არ ენდოს ირანს.

ნეთანიაჰუს თქმით, დღევანდელი ირანი საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო ისრაელისთვის, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის.

„ყველაზე დიდი საფრთხე ამ მსოფლიოში რადიკალური ისლამისა



და ატომური იარაღის ერთობაა. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ“, — განაცხადა ბენიამინ ნეთანიაჰუმ და შეერთებულ შტატებს მოუწოდა, ირანის წინააღმდეგ სანქციები შეინარჩუნოს, სანამ თეირანი აგრესიულ პოლიტიკას არ შეაჩერებს.

„ცუდ გარიგებას სჯობს, არანაირი გარიგება არ შედგეს. ირანი ყოველთვის აშშ-ს მტერი იქნება და „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლა მათ მეგობრებად ვერ აქცევს“, — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მთელ მსოფლიოს ძალისხმევის გაერთიანებისკენ მოუწოდა, რათა შეაჩერონ ირანის სვლა ტერორისა და განადგურების იარაღის მოპოვებისკენ.

ისრაელის პრემიერი კონგრესში რესპუბლიკელებმა მიიწვიეს, რასაც დემოკრატების და აშშ-ის მთავრობის გაღიზიანება მოჰყვა.

თეთრი სახლის განცხადებით, ისრაელის პრემიერის კონგრესის წინაშე გამოსვლა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვას გამოიწვევს.

ბარაკ ობამა ბენიამინ ნეთანიაჰუს კონგრესში გამოსვლას ეხმაურება. „ბიბისის“ ცნობით, ობამამ განაცხადა, რომ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ნეთანიაჰუს საერთაშორისო „ექვსეულისთვის“ ალტერნატიული გზა არ შეუთავაზებია.

ობამას განცხადებით, საერთაშორისო თანამეგობრობასთან შეთანხმების მისაღწევად ირანმა ბირთვული პროგრამა სულ მცირე ათი წლით უნდა გაყინოს.

ობამას თქმით, მოლაპარაკების შანსი მცირეა, თუმცა ნებისმიერი ალტერნატივა უარესი იქნება.

აღნიშნული განცხადება აშშ-ს პრეზიდენტმა სააგენტო „როიტერსთან“ საუბრისას გააკეთა.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მუჰამედ ჯავად ზარიფიმ ობამას წინადადებას „მიუღებელი“ უწოდა.

აშშ და კიდევ ხუთი წამყვანი ქვეყანა ირანთან შეთანხმების მიღწევას ცდილობს, რომლის ფარგლებშიც თეირანი თავის ბირთვულ პროგრამას სანქციების შემსუბუქების სანაცვლოდ შეზღუდავს.

მსოფლიოს ექვს წამყვან ქვეყანას და ირანს შეთანხმების ჩარჩოს მისაღწევ ვადად მარტის ბოლო აქვთ დანიშნული, საბოლოო შეთანხმება კი 30 ივნისამდე უნდა გაფორმდეს.

# ნემცოვის საქმე გაუხსნელი დარჩება“



ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის სამსახურის დირექტორი ჯეიმს კლეპერი ამბობს, რომ რუსი ოპოზიციონერის ბორის ნემცოვის მკვლელობა გაუხსნელი დარჩება. „ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, ამის შესახებ კლეპერმა ნიუ იორკში საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოში განაცხადა.

დაზვერვის ხელმძღვანელის თქმით, ამერიკის სადაზვერვო საზოგადოებას არ გააჩნია ინფორმაცია რუსი პოლიტიკოსის მკვლელობის შესახებ.

— ჩვენ არ ვიცით, არ გაგვაჩნია უნიკალური მონაცემები იმაზე, თუ ვინ გააკეთა ეს. გავრისკავ და ვიტყვი, რომ ჩვენ ამას ვერასოდეს გავიგებთ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, თავად პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საკუთარ გამოძიებას ჩაატარებს, — განაცხადა კლეპერმა.

რუსი ოპოზიციონერი, ილია იაშინი აცხადებს, რომ ბორის ნემცოვის მიერ მომზადებულ ანგარიშს გამოაქვეყნებს. ამის შესახებ იაშინმა ბრიტანულ გამოცემა „თაიმსს“ განუცხადა. მისი თქმით, დოკუმენტში უკრაინის კონფლიქტში რუსული სამხედრო ტექნიკის მონაწილეობის შესახებაა საუბარი და ამის დამადასტურებელი სამხილებია მოყვანილი.

ილია იაშინი ასევე აცხადებს, რომ ანგარიშის სრული ვერსია ბორის ნემცოვს საკუთარ სახლში კომპიუტერში ჰქონდა შენახული, რომელიც მისი მკვლელობის შემდეგ პოლიციამ ამოიღო.

თუმცა, ნემცოვის თანამოაზრე იაშინი ამბობს, რომ ის ცდილობს ყველა მნიშვნელოვანი სამხილის მოძებნას, რასაც საზოგადოება მალე იხილავს.

რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ რუსეთში პოლიტიკური მკვლელობები უნდა დასრულდეს. ამის შესახებ „ბიბისი“ იტყობინება.

მისივე თქმით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „მაღალი დონის“ დანაშაულს. აღნიშნული განცხადება კრემლის ლიდერმა მას შემდეგ გააკეთა, რაც გასულ კვირას 55 წლის რუსი ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი მოკლეს.

მკვლელობის ზუსტი მოტივი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, დასავლელმა ლიდერებმა მას პოლიტიკური მკვლელობა უწოდეს. ვლადიმერ პუტინის ადმინისტრაცია მომხდართან კავშირს უარყოფს.

# აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ერთი წლით გაახანგრძლივა

აშშ-მა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები ერთი წლით გაახანგრძლივა. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შესაბამის ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა. ამის შესახებ ინფორმაცია თეთრი სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე ვრცელდება.

— კონკრეტული ადამიანების ქმედებები და პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის უკრაინაში დემოკრატიულ პროცესებს, საფრთხეს უქმნის მშვიდობას, უსაფრთხოებას, სტაბილურობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას; ასევე რუსეთის ფედერაციის ქმედებები და პოლიტიკა, მათ შორის ყირიმის გამიზნული ანექსია და უკრაინაში ძალის გამოყენება, საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას და აშშ-ის საგარეო პოლიტიკას. ამიტომაც აუცილებელია ბრძანება 13660-ის მოქმედების გაგრძელება, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.



ამგვარად, თეთრი სახლის ლიდერის გადაწყვეტილებით, 2014 წელს მიღებული ყველა სანქცია, მათ შორის ყირიმის ანექსიის გამო დაწესებული შეზღუდვები, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება.

დასავლელი ლიდერები რუსეთს აფრთხილებენ, რომ თუ მინსკის შეთანხმება დაირღვევა, ამას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მკაცრი რეაქცია მოჰყვება. ამის შესახებ „დოიჩე ველე“ იტყობინება.

აშშ-ის, საფრანგეთის, გერმანიის, ბრიტანეთის და იტალიის პირველმა პირებმა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, დონალდ ტუსკმა უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით ვიდეოკონფერენცია გამართეს. ლიდერებმა განაცხადეს, რომ აუცილებელია 12 თებერვალს მინსკში მიღწეული შეთანხმების განხორციელება იმისათვის, რომ დონბასში კონფლიქტი დასრულდეს. თუმცა, მათივე თქმით, თუ მოსკოვი აღნიშნული დოკუმენტის პირობებს დაარღვევს, ამას დასავლეთის მხრიდან შესაბამისი რეაქცია მოჰყვება.

პენტაგონის განცხადებით, აღმოსავლეთ უკრაინაში პრორუსი მებრძოლების დასახმარებლად 12.000 რუსი სამხედრო იმყოფება. ამის შესახებ „როიტერი“ ევროპაში აშშ-ის არმიის მეთაურ გენერალ ბენ ჰოჯესზე დაყრდნობით იტყობინება. საუბარია რუს სამხედრო ინსტრუქტორებზე, თანამედროვე სამხედრო შეიარაღების ტექნიკურ პერსონალსა და საბრძოლო ქვედანაყოფებზე.

ბენ ჰოჯესის თქმით, დამატებით 29.000 სამხედრო ანექსირებულ ყირიმშია მობილიზებული, კიდევ 50.000 ჯარისკაცი კი რუსეთის მხარეს საზღვართან ახლოსაა განლაგებული.

დასავლეთი რუსეთს დონბასის კონფლიქტში პირდაპირ მონაწილეობაში უკვე ნახევარ წელზე მეტია ადანაშაულებს. თუმცა, აღნიშნულ ბრალდებებს მოსკოვი უარყოფს.

რუსეთის პოზიციას დასავლეთის სანქციები ვერ შეცვლის. ამის შესახებ „ბიბისის“ ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს.

საგარეო უწყების პრესსპიკერმა, ალექსანდრ ლუკაშევიჩმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონი ცდილობს ვითარების გამწვავებას, მაშინ როდესაც უკრაინაში სამშვიდობო პროცესების დაწყება შესამჩნევია. ლუკაშევიჩმა აღნიშნული კომენტარი აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილების საპასუხოდ გააკეთა.

შეერთებული შტატები ევროკავშირზე ზეწოლას ახდენს, თავად კი რუსეთთან სავაჭრო ბრუნვას ზრდის. ამის შესახებ რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა. დიმიტრი პესკოვის თქმით, ვაშინგტონის გავლენით ევროკავშირსა და რუსეთს შორის სავაჭრო ბრუნვა ბოლო ერთი წლის განმავლობაში 12 პროცენტით დაეცა, მაშინ, როდესაც შეერთებულმა შტატებმა რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა 7 პროცენტით გაზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაშინგტონი რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაფუჭებით სარგებლობს.

ამ ფონზე, დონბასში რუსეთმა ჰუმანიტარული ტვირთის მორიგი ავტოკოლონა გააგზავნა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იტყობინება. რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს წარმომადგენლის, ოლეგ ვორონოვის ცნობით, ავტოკოლონამ უკვე გაიარა სასაზღვრო შემოწმება და გადაკვეთა უკრაინის საზღვარი. ამჯერად 160 მანქანით რუსეთიდან 1,8 ათასი ტონა ჰუმანიტარული ტვირთი ჩაიტანეს. ტვირთის 90 პროცენტი საკვები პროდუქტებია.

ეს რიგით მე-17 ჰუმანიტარული ტვირთის ავტოკოლონაა, რომელსაც რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინაში აგზავნის. ძირითადად, რუსული მხარე კიევთან შეთანხმების გარეშე აგზავნიდა ჰუმანიტარულ დახმარებას, რის გამოც უკრაინა რუსეთიდან შესული ტვირთის კონტროლს ითხოვდა.

# ფრანსუა ოლანდი ნატოს გაფართოების წინააღმდეგია



საფრანგეთის პრეზიდენტი ნატოს შემდგომი გაფართოების წინააღმდეგია. ამის შესახებ მან ალიანსის გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ვფიქრობთ, ნატოში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს უარი უნდა ეთქვათ, რადგან ალიანსის გაფართოების საკითხი ამ ეტაპზე აქტუალური არ არის“, — აღნიშნა ფრანსუა ოლანდმა.

გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ალიანსში „ცივი ომის“ შემდეგ პირველად ხდება ასეთი მასშტაბური ძალების მოკრება და ამაში საფრანგეთი ლიდერის როლს ასრულებს.

# დონეცკში მაღაროს აფეთქებას 30-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა



დონეცკში კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა. ზასიადკოს მაღაროში მომხდარ აფეთქებას 30-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქებისას გვირაბში 207 მაღაროელი იმყოფებოდა. ათობით ადამიანი ამ დრომდე გვირაბში რჩება.

წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება მეთანის გაზის აალებამ გამოიწვია. ზასიადკოს მაღაროში მსგავსი შემთხვევები ხშირია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მომხდარ ინციდენტებს 200-ზე მეტი მაღაროელი შეეწირა.

მოამზადა გურა მამულაშვილმა


## უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● windows-ის გადაყენება, პროგრამული უზრუნველყოფა, კეისის გაწმენდა, შეკეთება, წაშლილი ფაილების აღდგენა. ტელ: 555-79-72-89.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

## რემონტი

● ვასრულებ სამღებრო-„სამალიარო“ სამუშაოებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასებში. ტელ: 599-26-18-55.

# დღეს თბილისის დინამო ზესტაფონს ხვდება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მომ“ სამ-სამჯერ იმარჯვა.

უკანასკნელი მატჩი „დინამოსა“ და „ზესტაფონს“ შორის 2014 წლის 23 აგვისტოს ზესტაფონში, დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე გაიმართა. საკმაოდ საინტერესო და დაძაბული დაპირისპირება თბილისელთა გამარჯვებით — 3:2 დასრულდა.

მატჩს თბილისელი ფიფას არბიტრი ლაშა სილაგავა განსჯის.

**ტორპედო – მერანი**

**ქუთაისი.** ცენტრალური

აღსანიშნავია, რომ გასული წლის ჩათვლით, ჩემპიონატში „ტორპედოს“ ზედიზედ 11 მატჩია, რაც არ მოუგია, „მერანმა“ კი ბოლო 5 მატჩში ვერ იხეირა.

ამ გუნდების მატჩი ყოველთვის დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს, რაზეც სტატისტიკა მეტყველებს. სულ გუნდებს შორის უმაღლეს ლიგასა და ეროვნულ თასზე 14 მატჩია გამართული, რომელთაგან 7 „ტორპედომ“ მოიგო, 5 — „მერანმა“, 1 კი ფრედ დასრულდა. ბურთების შეფარდება ქუთაისელთა სასარგებლოდაა — 25:17.

ურთიერთშეხვედრების ისტორიაში „ტორპედომ“ „მერანი“ უდიდესი ანგარიშით — 5:1, 2014 წლის 18 აპრილს დაამარცხა, საპირისპიროდ კი, ანგარიშით 0:3 ორჯერ იწვნია მარცხი.

დისკვალიფიკაციის გამო მატჩს „ტორპედოს“ 2 ფეხბურთელი — გივი იოსელიანი და ბექა ტუღუში დააკლდება, რომლებმაც ჩემპიონატის წინა ტურში მესამე ყვითელი ბარათები მიიღეს.

**ზუგდიდი – კოლხეთი**

**ზუგდიდი.** ბაიას ბაზა

საგაზაფხულო სეზონი წარმატებული გამოდგა ზუგდიდელებისთვის და მათ ზედიზედ ორ ტურში გამარჯვება იზეიმეს და პირველი წრის შემდეგ ბოლო ადგილზე მყოფი ამ მოგებებით სახიფათო ზონას დაშორდა.

სადღეისოდ, მე-13 ადგილზე მყოფი ზუგდიდელები ქულებით მეტოქეს გაუთანაბრდნენ. გარდა იმისა, რომ მეგრული გუნდების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო იყო, ეს გუნდები ცხრილში უკვე უშუალო კონკურენტებიც არიან და აქედან გამომდინარე, მეგრული გუნდების მორიგი დუელი დიდ ინტერესს იწვევს. ფოთელებსაც, როგორც აღვნიშნეთ, 18 ქულა აქვთ ცხრილში და ისინი ზუგდიდზე წინ ერთი საფეხურით არიან.

ზუგდიდელები მორიგ ტურსაც დანაკლისით ხვდებიან. დისკვალიფიკაციის გამო, საკუთარ გუნდს ფოთელების წინააღმდეგ ავთო ენდელაძე ვერ დაეხმარება. სამაგიეროდ, უკვე ლევან კუტალია და გოდერძი მაჩაიძე შეუერთდნენ, რომლებმაც ამავე მიზეზით წინა ტური გამოტოვეს. რაც შეეხება ტრავმირებულ დათო მეგრელიშვილს, რომელმაც „მეტალურგთან“ მატჩი გამოტოვა, მან ვარჯიშები განაახლა და გუნდთან ერთად მთელი დატვირთვით ემზადება.

**გურია – მეტალურგი**

**ლანჩხუთი.** ევგრაფი შევარდნაძე

ეს მატჩი ჩაშლის პირას არის. რუსთაველები უფინანსობას განიცდიან და ლანჩხუთში ჩასვლა ეჭვქვეშ დგას. თუ მატჩი ჩატარდა, ფავორიტი გურულები არიან — უკრაინელებით გაძლიერებული „გურია“ შესუსტებულ და უვარჯიშებელ „მეტალურგს“ დაუხვდება.

**ცხინვალი – ვიტ ჯორჯია**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

ეს გუნდები რამდენიმე დღის წინ ერთმანეთს თასზე შეხვდნენ და მაშინ უხვგოლიან მატჩში ვეტერინარებმა მოიგეს. არადა, ფავორიტად მასპინძელი „ცხინვალი“ ითვლებოდა. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ცხინვალელები რევანშის აღებას.

**ჩიხურა – შუქურა**

**იგანწმინდა.** ცენტრალური

მეორე წრისთვის ორივე გუნდი ლეგიონერებით გაძლიერდა და საკმაოდ საინტერესო ჯახი უნდა გამოდგეს. ერთია, „ჩიხურა“ საშინაო არენაზე უკეთესად თამაშობს და სტუმრად ქულების მოპოვება „შუქურასაც“ უჭირს.

**სამტრედია – სიონი**

**სამტრედია.**ეროსი მანჯგალაძე

„სიონმა“ წინა ტურში სენსაცია შემოგვთავაზა და ლიდერი თბილისის „დინამო“ დაამარცხა, რითიც საქმე სამტრედიელებსაც გაუკეთა. გასავარდნი ზონიდან თავდასაღწევი ბოლნისელები შეძლებენ თუ არა კიდევ ერთი სენსაციის „გამოცხობას“, ამას მატჩი გვიჩვენებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 17 | 10 | 4 | 3 | 25-14 | 34 |
| დინამო (თბ) | 17 | 10 | 2 | 5 | 28-15 | 32 |
| დინამო (ბთ) | 17 | 9 | 3 | 5 | 21-14 | 30 |
| სამტრედია | 17 | 8 | 4 | 5 | 18-12 | 28 |
| სპარტაკი | 17 | 8 | 3 | 6 | 17-22 | 27 |
| ჩიხურა | 17 | 7 | 5 | 5 | 21-19 | 26 |
| მეტალურგი | 17 | 6 | 5 | 6 | 19-18 | 23 |
| გურია | 17 | 5 | 7 | 5 | 17-25 | 22 |
| მერანი | 17 | 5 | 6 | 6 | 13-14 | 21 |
| შუქურა | 17 | 5 | 6 | 6 | 16-18 | 21 |
| ზესტაფონი | 17 | 4 | 8 | 5 | 31-25 | 20 |
| ზუგდიდი | 17 | 4 | 6 | 7 | 10-17 | 18 |
| კოლხეთი | 17 | 4 | 6 | 7 | 13-19 | 18 |
| სიონი | 17 | 4 | 5 | 8 | 14-22 | 17 |
| ტორპედო | 17 | 3 | 8 | 6 | 18-20 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 3 | 4 | 10 | 16-23 | 13 |

# ბარსელონას ვიეტოს შეძენა სურს




კატალონიის ბარსელონამ ვილიარეალის არგენტინელ თავდამსხმელს ლუსიანო ვიეტოს დაადგა თვალი. ვიეტო წელს ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი აღმოჩენაა და მისი თამაშით ბევრი გუნდია მოხიბლული. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არ არის გასაკვირი, რომ ბარსელონას ვიეტოს შეძენის სურვილი გაუჩნდა.

ჯერჯერობით ბარსელონა მხოლოდ დაინტერესებით შემოიფარგლება და კონკრეტულ სატრანსფერო თანხას არ ასახელებს.

ვიეტოს თქმით, ის ვილიარეალში ბედნიერია, მაგრამ მომავალში მზად არის, უფრო ძლიერ გუნდში გადავიდეს სათამაშოდ.

ლუსიანო ვიეტოს წლევანდელ სეზონში 18 გოლი აქვს გატანილი. უნდა აღინიშნოს, რომ ფეხბურთელმა ბარსელონას კარის დალაშქვრაც მოახერხა.

ბ.გ.

# დანი ალვეში ბარსელონას დატოვებას აპირებს




ბარსელონას ბრაზილიელი მცველის დანი ალვეშის თამაში ბოლო პერიოდში კრიტიკას ვერ უძლებს. ალვეში ხშირად უშვებს შეცდომებს და ამით მისი გუნდი ზარალდება. ასე მოხდა მალაგასთან შეხვედრის დროს, როდესაც ბარსელონას კარში გატანილი გოლი სწორედ ალვეშის შეცდომას მოჰყვა. ამ ყველაფრის შემდეგ უფრო ხშირია საუბრები დანი ალვეშის გუნდიდან წასვლის შესახებ.

ალვეშის შესაძლო ტრანსფერს სხვა გუნდში მისი აგენტიც ადასტურებს. დინორა სანტანას თქმით, ფეხბურთელი აწარმოებს რამდენიმე კლუბთან მოლაპარაკებას და უახლოეს მომავალში შეიძლება კონტრაქტიც გაფორმდეს. სანტანამ კონკრეტული გუნდის სახელი არ თქვა.

თვითონ ალვეში ამბობს, რომ ბარსელონაში თავს კარგად გრძნობს და მზად არის, ამ გუნდში გააგრძელოს კარიერა, მაგრამ თუ კატალონიური კლუბი არ მოისურვებს მის დატოვებას, ის იძულებული გახდება, სხვაგან ეძებოს სამუშაო ადგილი.

დანი ალვეშს კონტრაქტი ბარსელონასთან წლევანდელ ზაფხულში უმთავრდება.

ბ.გ.

# იოაჰიმ ლიოვი სპორტში დოპინგის წინააღმდეგია



კარგა ხანია ფრაიბურგის უნივერსიტეტში დოპინგ-წარსულს იკვლევენ და როგორც იქნა საგამოძიებო კომისიის დასკვნა გასაჯაროვდა.

დასკვნის თანახმადაც 1975-80 წლებში საფეხბურთო კლუბ „შტუტგარტის“ და იმავე პერიოდში მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „ფრაიბურგის“ ფეხბურთელთა უმრავლესობა აქტიურად მოიხმარდნენ დოპინგს. ეს ყველაფერი ფაქტებით არის დადასტურებული. ერთ-ერთი მთავარი ფიგურა კი ფრაიბურგელი სპორტული ექიმი არმინ კლიუმპერი გახლდათ, რომლის მისაღებიც მუდამ სავსე იყო იმ პერიოდში ცნობილი სპორტსმენებით. გამოძიების თანახმად ექიმი მედიკამენტების კოქტეილებს ამზადებდა, რომელშიც აქტიურად იყენებდა ანაბოლიკას. ამჟამად იგი სამხრეთაფრიკაში იმყოფება და გახმაურებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

დასკვნის გამოქვეყნებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი 1978-დან 1980 წლებში „ფრაიბურგში“ თამაშობდა, 1980-81 წლებში კი — შტუტგარტში. რა იცის მან იმ პერიოდში დოპინგის მოხმარების შესახებ? იოახიმ ლიოვმა ამ ფაქტთან დაკავშირებით შემდეგი კომენტარი გააკეთა:

— სპორტში დოპინგის ადგილი არ არის. აბსოლუტურად უარვყოფ მას. ჩემთვის მუდამ ასე იყო როგორც ფეხბურთელობის, ასევე მწვრთნელობის პერიოდში.

# ზესტაფონი ათასიანელებს შეუერთდა

წინა ტურში საჩხერის „ჩიხურას“ წინააღმდეგ გამართული მატჩის 77-ე წუთზე „ზესტაფონის“ ფორვარდმა გიორგი ილურიძემ გაიტანა გოლი, რომელიც მარგველთათვის უმაღლეს ლიგაში გატანილი რიგით მე-1000 გამოდგა. უნდა დავაზუსტოთ, რომ საუბარია უმაღლეს ლიგაში ქალაქ ზესტაფონის წარმომადგენელი სამივე საფეხბურთო კლუბის (მარგვეთი, მეტალურგი და ზესტაფონი) საერთო მონაგარზეა.

ორიოდე სიტყვით უნდა ითქვას იმაზეც, რომ მარგველთა მიერ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში ჩატარებული მატჩების საერთო რაოდენობა სადღეისოდ 648 შეადგენს. ამ შეხვედრებში ზესტაფონელებს მოპოვებული აქვთ 299 გამარჯვება და 126 ფრე, 223 მატჩი კი იმერლებმა დათმეს. ამ შეხვედრებში გატანილია 1000 და გაშვებულია 861 გოლი, მოპოვებულია 1023 ქულა.

ეროვნული პირველობის უმაღლეს ლიგაში ზესტაფონელთა დებიუტი მეორე ეროვნულ ჩემპიონატში შედგა — 1991 წლის ერთწრიან საგაზაფხულო ჩემპიონატში ზესტაფონელთა სახელით იასპარეზა საფეხბურთო კლუბმა „მარგვეთმა“, რომელმაც უმაღლეს დივიზიონში ზედიზედ 8 სეზონი ჩაატარა.

„მარგვეთის“ დაშლის შემდეგ ასპარეზზე გამოჩნდა საფეხბურთო კლუბი „მეტალურგი“, რომელმაც თამაში უმაღლეს ლიგაში 2001-03 წლებში მოახერხა.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“, რომელიც დაარსებულია 2004 წლის 18 ივნისს, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გამართული აქვს 337 მატჩი.

საინტერესოა, რომ უმაღლეს ლიგაში გატანილი რაოდენობის 1.000-გოლიანი ნიშნულისთვის, თბილისის „დინამოს“ (1987), ქუთაისის „ტორპედოსა“ (1209) და ახლა უკვე ზესტაფონელთა გარდა, ეროვნულ ჩემპიონატში არცერთი სხვა ქალაქის წარმომადგენლებს დღემდე არ მიუღწევია. ამ შედეგთან ყველაზე ახლოს არიან ბათუმის „დინამო“ — 934 და ფოთის „კოლხეთი“ —923.

წინა სეზონის მსვლელობისას ზესტაფონელებმა ყველა ტურნირის შედეგების გათვალისწინებით დაჯამებულ ცხრილში ეროვნული ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე წარმატებული კლუბების, თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ მსგავსად, პირველობის მატჩებში მოპოვებულ ქულათა 1.000-ანი ზღვარიც გადალახეს.

მესამე პოზიციაზე იმყოფებიან ზესტაფონელები მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობის კომპონენტშიც — შიდა პირველობის ეგიდით მოპოვებული შემდეგი გამარჯვება იმერელთათვის საიუბილეო მე-300 იქნება. წინ აქაც თბილისის „დინამო“ (561) და „ტორპედოა“ (360).

# ფაჩულიას უქულო მატჩი

„ოლ სტარის“ დღეების დროს განხორციელებული ტრანსფერების შემდეგ ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსი“ ისეთ იშტაზე ვეღარ არის და ბლომად მატჩები წააგო. „ხარირმები“ ამჯერად სტუმრად „დენვერ ნაგიტსთან“ 95:106 დამარცხდნენ.

ტრავმის შემდეგ ვერც ქართველი კალათბურთელი ყოჩაღობს როგორც უნდა, ხოლო დენვერში საერთოდ არ წავუდია თამაში. ფაჩულია სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 13 წუთი დაჰყო. ქართველმა ცენტრმა ერთი ორქულიანი ისროლა, მაგრამ ბურთმა მიზანს ვერ მიაღწია. ზაზამ პარკეტი უქულოდ დატოვა. ფაჩულიამ 2 პერსონალური ჯარიმა მიიღო და 3-ჯერ დაკარგა ბურთი.

მილუოკელთა შემადგენლობაში 21 ქულით საუკეთესო ერსან ილიასოვა გახლდათ. ხოლო „დენვერში“ იტალიელი ფორვარდი დანილო გალინარი 26 ქულით გამოირჩა.

ჯეისონ კიდის შეგირდები 32 მოგებით 28 წაგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში მეექვსე ადგილზე იმყოფებიან.

# გულშემატკივრებმა ლიპარტელიანი და საქართველოს ნაკრები გამოარჩიეს

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ გულშემატკივართა ფეისბუკის გამოკითხვის შედეგად 2014 წლის რჩეულები გამოავლინა. ნაკრებებს შორის გულშემატკივრებმა უპირატესობა საქართველოს ნაკრებს მიანიჭეს, ვაჟ ძიუდოისტებს შორის კი გულშემატკივართა რჩეული ვარლამ ლიპარტელიანი გახდა.

**გულშემატკივართა რჩეული ვაჟი ძიუდოისტი: 1.ვარლამ ლიპარტელიანი; 2.ტედი რინერი; 3.კრისტიან ტოტი;**

**გულშემატკივართა რჩეული ნაკრები: 1.საქართველოს ვაჟთა ნაკრები; 2.საფრანგეთის ქალთა ნაკრები; 3.მონღოლეთის ქალთა ნაკრები;**

**გულშემატკივართა რჩეული ქალი ძიუდოისტი: 1.იარდენ გერბი; 1.ურანტსეტსეგ მუნხბატი; 3.მაილინდა კელმენდი;**

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

[illegible]

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი ......... 2:1
საუთჰემპტონი-კრ.პალასი ........... 1:0
ჰალი-სანდერლენდი ..................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 26 | 18 | 6 | 2 | 56-22 | 60 |
| სიტი | 27 | 16 | 7 | 4 | 57-27 | 55 |
| არსენალი | 27 | 15 | 6 | 6 | 51-29 | 51 |
| მანჩესტერი | 27 | 14 | 8 | 5 | 46-26 | 50 |
| საუთჰემპტონი | 28 | 15 | 4 | 9 | 39-20 | 49 |
| ლივერპული | 27 | 14 | 6 | 7 | 40-30 | 48 |
| ტოტენჰემი | 26 | 13 | 5 | 8 | 41-36 | 44 |
| სუონსი | 27 | 11 | 7 | 9 | 31-34 | 40 |
| ვესტ ჰემი | 27 | 10 | 9 | 8 | 39-33 | 39 |
| სტოკი | 27 | 11 | 6 | 10 | 31-34 | 39 |
| ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 32-42 | 35 |
| კრ. პალასი | 28 | 7 | 9 | 12 | 31-39 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 7 | 9 | 12 | 26-36 | 30 |
| ევერტონი | 27 | 6 | 10 | 11 | 33-39 | 28 |
| ჰალი | 28 | 6 | 9 | 13 | 26-37 | 27 |
| სანდერლენდი | 28 | 4 | 14 | 10 | 23-39 | 26 |
| ასტონ ვილა | 28 | 6 | 7 | 15 | 15-38 | 25 |
| ქპრ | 26 | 6 | 4 | 16 | 27-45 | 22 |
| ბარნლი | 27 | 4 | 10 | 13 | 25-45 | 22 |
| ლესტერი | 26 | 4 | 6 | 16 | 24-42 | 18 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბორმნუთი-ვულვზი ....................... 2:1
ბრაიტონი-დერბი ......................... 2:0
ბრენტფორდი-ჰადერსფილდი ...... 4:1
მიდლსბრო-მილუოლი ................. 3:0
როტერჰემი-კარდიფი .................. 1:3

**ჩარლტონი-ნოტინგემი**

ბოლტონი-რედინგი ...................... 1:1
უოტფორდი-ფულემი .................... 1:0

**გერმანია. თასი**

ალენი-ჰოფენჰაიმი ...................... 0:2
ლევერკუზენი-კაიზერი .......... 2:0(დდ)
დინამო-დორტმუნდი .................... 0:2
ფრაიბურგი-კიოლნი .................... 2:1

**იტალია. სერია ბ**

ბარი-კატანია .............................. 1:1
ბოლონია-ლატინა ....................... 0:0
ბრეშა-მოდენა ........................... 0:1
კარპი-აველინო .......................... 2:0
ვიჩენცა-ლანჩანო ....................... 2:2
პესკარა-კროტონე ....................... 2:1
სპეცია-პრო .................... ვერჩელი 5:2
ტერნანა-ვირტუსი ....................... 0:1
ტრაპანი-ლივორნო ..................... 0:0
ფროსინონე-პერუჯა .................... 2:1
ჩიტადელა-ვარეზე ...................... 3:0

**საფრანგეთი. თასი**

ბულონი-სტ.ეტიენი ............. 1:1(3:4პ)

**რუსეთი. თასი**

არსენალი-გაზოვიკი .............. 0:1(დდ)
ლოკომოტივი-რუბინი ....... 0:0(4:2დდ)

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-აუსტრია ........................ 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ამერიკაში სახლი მოიპარეს

ამერიკის ორეგონის შტატში უცნობმა ბოროტმოქმედებმა 111 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი მოიპარეს.

ნაგებობის მფლობელი სახლში მუდმივად არ ბინადრობდა და ის ქურდობის მომენტში ადგილზე არ იმყოფებოდა. როგორც კი მან უძრავი ქონების ქურდობის ფაქტი აღმოაჩინა, მაშინვე პოლიციას აცნობა. ადგილობრივი სამართალდამ-



ცავი ორგანოები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ხის ნაგებობის ძებნას. ის ორი დღის ძებნის შემდეგ ქურდობის ადგილიდან დაახლოებით 20 კილომეტრში იქნა აღმოჩენილი.

პოლიციელთა თქმით, მომხდარმა ისინი გააოგნა და თავდაპირველად არც კი იცოდნენ, როგორ გამოეძიათ სახლის ქურდობის ფაქტი. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ასევე წარმოადგინეს მომხდარის საკუთარი ვერსია. მათი აზრით, სახლი მძლავრი დომკრატებით ასწიეს, შემდეგ მოტორიზებულ პლატფორმაზე დადეს და წაიღეს.

პოლიციელებმა გამოძიების მიმდინარეობის სხვა მხარეებზე არ ისაუბრეს, თუმცა იქვე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გამოძიებას უკვე ჰყავს რამდენიმე ეჭვმიტანილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## თეთრი დათვის მკვლელობა გახსნილია

არქტიკაში თეთრი დათვის მოკვლის კიდევ ერთი საქმე გაიხსნა. გამოძიების მიმდინარეობისას პოლიციამ ბრაკონიერებს ცხოველის ტყავი და გადამდნარი ქონი აღმოუჩინა. ამ ინფორმაციას ველური ბუნების მსოფლიო ფონდი ავრცელებს.

მიმდინარე წელს თეთრი დათვის უკვე მეორე მკვლელობა ქალაქ ნარიან-მარის პოლიციამ ბუნების დაცვის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად გახსნა.

თებერვალში ცენტრის თანამშრომლებმა პოლიციაში შესაძლო ბრაკონიერობაზე განცხადება შეიტანეს. ამის შემდეგ ძალოვანი უწყების თანამშრომლებმა მოკლული ცხოველის ტყავის ამოღება და ეჭვმიტანილის დაკავება მოახერხეს, რომელმაც განაცხადა, რომ ის დასახლება კარატაიკას მცხოვრებისგან მიიღო.

გაირკვა, რომ ტყავი იქ სხვა არქტიკული დასახლება ვარნეკიდან მოხვდა. პოლიციელების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა დამნაშავის ვინაობა. მან დანაშაული აღიარა, ხოლო მისი სიტყვები მისმა თანამზრახველმა დაადასტურა.

— თეთრ დათვთან დაკავშირებული ბრაკონიერობის საქმეები ჩემი პირადი მეთვალყურეობის ქვეშაა. ხალხს უნდა ესმოდეს, რომ თეთრი დათვის მოკვლა სისხლის სამართლის დანაშაულია და სერიოზულ სასჯელს იმსახურებს, — განაცხადა ნენეცკის ავტონომიური ოლქის გუბერნატორმა იგორ კოშინმა.



თეთრი დათვის რიცხოვნობა მსოფლიოში 20-დან 25 ათას სულამდე აღწევს და ის საერთაშორისო წითელ წიგნშია შეყვანილი.

## ამერიკელი ცოლ-ქმარი ერთ დღეს გარდაიცვალნენ

კალიფორნიის შტატში ხანდაზმული ცოლ-ქმარი, რომლებმაც 67 წელი იცხოვრეს ერთად, ერთ დღეს გარდაიცვალნენ. ფლოიდ და ვაილეტ ჰარტვიგები, რომლებიც 90 და 89 წლის იყვნენ, საკუთარ სახლში 11 თებერვალს, ხუთი საათის შუალედით გარდაიცვალნენ.

ჰარტვიგების შვილებმა განაცხადეს, რომ როდესაც მათი გარდაცვალების დრო მოახლოვდა, მათ ისინი გვერდიგვერდ მდგომ საწოლებში გადაიყვანეს. სიკვდილს ცოლ-ქმარი ხელიხელჩაკიდებულები შეხვდნენ.



— მათ ამ ქვეყნიდან ერთად წასვლა სურდათ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, — განაცხადა ჰარტვიგების ქალიშვილმა დონა სკარტონმა, — ისინი ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილები.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ. ორივენი კალიფორნიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე სოფელში იზრდებოდნენ. მათი რომანი კი საცეკვაო მოედანზე დაიწყო, სადაც ფლოიდი, იმ დროს შვებულებაში მყოფი სამხედრო მეზღვაური, გამოცხადდა. წყვილმა 1947 წლის 16 აგვისტოს იქორწინა, შეეძინათ სამი შვილი. ფლოიდს და ვაილეტს პატარა ფერმა ჰქონდათ, სადაც მოჰყავდათ ბამბა და ინდაურებს უვლიდნენ.

კულტურა

# ეროსი მანჯგალაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობ ეროსი მანჯგალაძეს 3 მარტს 90 წელი შეუსრულდებოდა.

მსახიობი ქართველ მაყურებელს განსაკუთრებულად უყვარდა. ის ასევე ცნობილი იყო, როგორც სპორტული კომენტატორი. თეატრალურ ინსტიტუტში დოდო ალექსიძის ხელმძღვანელობით ისწავლა. ერთი პერიოდი კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის თეატრში მუშაობდა, მოგვიანებით კი რუსთაველის თეატრში გადავიდა.

თეატრის პარალელურად, ეროსი მანჯგალაძეს ხშირად იღებდნენ ფილმებშიც. მისი კინოდებიუტი შედგა ფილმში „წარსული ზაფხული“, რასაც მოჰყვა „ლონდრე“, „ნატვრის ხე“, „თოჯინები იცინიან“, „ქვევრი“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „ვერის უბნის მელოდიები“.

საქართველოს სახალხო არტისტმა რუსთაველის თეატრში ითამაშა სპექტაკლებში: „ჭინჭრაქა“, „დიდი ხელმწიფე“, „პეპო“, „ესპანელი მღვდელი“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „გვადი ბიგვა“, „ოიდიპოს მეფე“, „საქმიანი კაცი“, „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“. მოგვიანებით ის მიხეილ თუმანიშვილმა კინომსახიობთა თეატრში გადაიყვანა.

ეროსი მანჯგალაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტელე და რადიოთეატრის განვითარებაში. რადიოთეატრი ამჟამად მის სახელს ატარებს, მისივე სახელობისაა დრამატულ გადაცემათა მთავარი სტუდიაც. მსახიობი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც სპორტული კომენ-



ტატორი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. სამტრედიაში ეროსი მანჯგალაძის სახელობისაა სპორტული სტადიონი, თბილისში კი — ერთ-ერთი ქუჩა.

ეროსი მანჯგალაძე მხოლოდ ერთხელ იყო დაქორწინებული ელენე ყიფშიძეზე. როგორც მისი და, ბელა მანჯგალაძე იხსენებს, ეროსის თავის ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ უყვარდა და ამ სიყვარულის ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. მსახიობი 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

# იავნანამ“ 70.000 ლარი შეაგროვა

ეკა ირემაშვილი

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდმა „იავნანა“ დედის დღესთან დაკავშირებით მორიგი კონცერტი გამართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ნინო ქათამაძე, ჯგუფი ინსაითი, ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ნიკოლოზ რაჭველი, ნატო მეტონიძე, ანიტა რაჭველიშვილი, პაატა ბურჭულაძე, ინგა ფურაძე, ზუმბა, ვიოლონჩელისტი ლიზი რამიშვილი და შვიდკაცა. ისინი ნინო ქათამაძესთან ერთად დუეტებს ასრულებდნენ.

კონცერტი იმ დედებს მიეძღვნათ, რომლებიც მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობენ. თბილისის ცენტრალურ თავშესაფარში 82 ბენეფიციარია. მათ სურვილი გამოთქვეს, მცირე კონცერტი თავადაც მოემზადებინათ და გიორგი უშიკიშვილთან ერთად ისურვეს რეპეტიციების გავლა. თავშესაფრის ბინადრებთან პაატა ბურჭულაძეც მივიდა, ერთი სიმღერა შეასრულა და მისი დებიუტიც შედგა. როგორც საოპერო მომღერალმა განაცხადა, ხანდაზმულებმა მას სთხოვეს, ძალიან ხმამაღლა არ ემღერა, რადგან თავად პიანოზე მღეროდნენ.

სატელეფონო მრიცხველი „იავნანას“ სპეციალურ ნომერზე 15 ათასიდან ჩაირთო, რადგან ყველა სატელეფონო კომპანიამ შემოწირა 3 ათასი ლარი.

„ასე დავთქვით ბიზნესმენებთან, რომ ყველას 3 ათასი ლარი გაეღო ფონდისთვის და ამით დედებისადმი სიყვარული გამოეხატათ. მერე მეუფე საბამაც განაცხადა, მეც მიყვარს დედაო და მანაც თანხა შესწირა ფონდს,“ — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

„იავნანას“ კეთილი საქმეებისთვის 1000 ლარი შესწირა ნინო ქათამაძემ. ესპანეთიდან გამარჯვების შემდეგ პირდაპირ საკონცერტო დარბაზში მივიდა საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრები და 5 ათასი ლარი გაიღო. ზურაბ წერეთელმა საფრანგეთიდან უკვე მეორედ თავისი წმინდა გიორგის ხატი შესწირა ფონდს და მას მომავალში აუქციონზე გაიტანენ. როგორც გაირკვა, ის იყო პირველი, ვინც 20.000 დოლარი შემოსწირა „იავნანას“, როცა არსდებოდა და ნანი ბრეგვაძემ ჩამოიტანა საქართველოში ეს ქვითარი. ზაზა ფაჩულიამ დედას მიულოცა ეს დღე და 1000 დოლარი გაიღო, მისმა დედამ კი 500 დოლარი შესწირა ფონდს. მანუჩარ მარკოიშვილმა 1000 დოლარი შესწირა ფონდს.

საქველმოქმედო ღონისძიებაზე ცნობილი გახდა, რომ დაარსდა ფონდ „იავნანას“ ფონდი, რომელიც წარჩინებულ სტუდენტებს სწავლის გაგრძელებაში დაეხმარება. რამდენიმე მათგანს უკვე გადაეცა სპეციალური სერთიფიკატები, ნიშნად იმისა, რომ ისინი ფონდ „იავნანას“ სტიპენდიანტები არიან. ფონდი მთლიანობაში 30 სტუდენტს დააფინანსებს.

კონცერტის ბოლოს „იავნანამ“ ბინა გადასცა ორ მრავალშვილიან ოჯახს. აჭარაში სახლის გასაღებს იავნანას შვილობილი დიტო რაზმაძე ჩაიტანს. მესამე მრავალშვილიან ოჯახს კი მალე გადაეცემა ბინა საბურთალოზე.

კონცერტის დასასრულს, „იავნანამ“ კიდევ ერთი საქველმოქმედო კონცერტი დააანონსა. 30 მარტს „იავნანას“ მხარდასაჭერად მორიგი კონცერტი გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოში ცნობილი პიანისტი ევგენი კისინი.

## hჳჯცღჯჳლბ ,

**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ბამბის უხეში ქსოვილი, მიტკალი; 3. ზეთით, კვერცხის გულით, ძმრით, მდოგვით დამზადებული საწებელი; 4. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 7. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 9. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 12. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. ცხენის ან აქლემის რძისგან მომზადებული სასმელი; 15. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 17. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 20. შავი ზღვის ძველბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. უბანი თბილისში; 6. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბარიტონი; 8. მრავალფეროვანი ყვავილი; 10. მიუნხენში განთავსებული, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 11. დედამიწის თანამგზავრი; 13. სალამანდრასნაირთა ოჯახის წყალხმელეთა ცხოველი; 16. ტემპერატურული სკალას გამომგონებელი შვედი ასტრო-ფიზიკოსი; 18. შოკოლადის ხე; 19. ალპინისტთა მეგზური ჰიმალაებში; 21. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 22. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 23. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ hჳჯცღჯჳლტ,ბც ბფცე[ტ,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იორდანია; 2. რამლი; 3. პროგნოზი; 4. მიტენი; 7. სქური; 9. თრუსო; 12. არმსტრონგი; 14. ხილარი; 15. ისტმენი; 17. ფორნებუ; 20. ფიალა.

**თარაზულად:** 5. პოტომაკი; 6. კურტაჟი; 8. ქულბაქი; 10. შერატონი; 11. ფიგარო; 13. გეიზერი; 16. ფონეტიკა; 18. კოქტო; 19. ატენი; 21. ჰიტროუ; 22. ენდშპილი; 23. ათაბაგი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კაფი; 2. ემუ; 3. რეზონანსი; 4. გნომა; 5. სირტაკი; 8. რუსო; 9. დიონისე; 10. სინოპეკი; 12. პანამა; 13. კაენი; 15. კინტო.

**თარაზულად:** 1. კირთაძე; 6. ვერმონტი; 7. ფურკა; 10. სიონი; 11. ოსუმი; 13. კენზო; 14. ჟოკეი; 16. არვე; 17. ინჟენიუ; 18. ლენონი.



## იუმორი

***

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

— მართალია, რომ ამბობენ, ღვინოშია ჭეშმარიტებაო?

— მასეა.

— აუ, რამდენი ჭეშმარიტება ყოფილა ჩემში!!!

***

გვიან ღამით პარკში მამაკაცი მიდის, წინ სამი ტიპი გადაუდგება.

— ეი, შენ, სიგარეტი გაქვს?

— არა.

— ფულს არ მოგვცემ?

— არა.

— ვა, შენ რა თავდაჯერებულად გვეპასუხები? რა, მოკრივე ხარ?

— არა, როტვეილერით ვარ. ჩემპიონო, ჩემთან!

***

ამერიკელმა მეცნიერებმა საინტერესო გამოკვლევა ჩაატარეს — მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში სადგურში სიმპათიურ გოგონას ტოვებდნენ და თვალს ადევნებდნენ, თუ რა მოხდებოდა.

სტოკჰოლმში გოგონას ახლოს არავინ გაჰკარებია.

ლონდონში გოგონას 30 წუთის მანძილზე სამჯერ ჰკითხეს, რომელი საათი იყო, ორჯერ აცნობეს, რომ კარგი ამინდი იყო და ერთმა ჩაის დასალევად დაპატიჟა.

პარიზში — გოგონა ოც წუთში მოიპარეს და ხუთ წუთში უკან დააბრუნეს.

რომში — ათი წუთის შემდეგ თავად გაეკიდა სიმპათიურ იტალიელ მამაკაცს.

ტოკიოში ხუთი წუთის შემდეგ გოგონა თეთრი საღებავით შეღებეს, კიმონო ჩააცვეს და გეიშასთან ერთად სურათები გადაიღეს.

თელ-ავივში გოგონა სექბომბად მიიჩნიეს, ერთ წუთში მესანგრეები მოვიდნენ და გოგონა განაღმეს.

ამსტერდამში საერთოდ ყველაფერი სასაცილოდ გამოვიდა, მაგრამ, რა მოხდა და როგორ, არავის არაფერი ახსოვს.

ქუთაისში ზუსტი შედეგის მიღება ვერ მოხერხდა, ვინაიდან სანამ მკვლევარი გოგონას უთვალთვალებდა, საათი მოჰპარეს, ხოლო სანამ ის გამვლელებს დროს ეკითხებოდა, გოგონა მოიპარეს.

***

ორი მეორეკლასელი მოსწავლის დედა ტელეფონზე საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— შენი შვილის მათემატიკის დავალება შეასრულე?

— კი.

— გადამაწერინე რა!

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

## fcnhjghjuyjpb
5 მარტისთვის

წარმატებული დღეა

**დბპ'ბ** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **რეპჯ** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ნ.ეგტ,ბ** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **რბპჰ[ბ,ბ** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ქჯვბ** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, საქმე სარფიანია. **მფქოექბ** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ცფცოჯპბ** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ქპბფყრფქბ** — თქვენი საქმე წინ მიდის, შემოთავაზება გელით. **ვიდბქლჯცფყბ** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამ კუთხით. **ს[ბც პმფ** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ვტპო.ექბ** — მშვენიერი დღეა, საწადელს აისრულებთ. **სტდპტ,ბ** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ.

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტჰ ღქტც=



# სკანდალი ორ ვარსკვლავში“

## მირიან ჯეჯელავას და ნინი ცნობილაძის გავარდნას დიდი ალიაქოთი მოჰყვა

ეკა ირემაშვილი

მუსიკალური პროექტის „ორი ვარსკვლავი“ მორიგი საკონკურსო ტური კიდევ ერთი წყვილისთვის აღმოჩნდა წარუმატებელი. მაყურებლის და ჟიურის გადაწყვეტილებით, ყველაზე ნაკლები ქულები ნინი ცნობილაძის და მირიან ჯეჯელავას წყვილმა დააგროვა. მათთან ერთად აუთსაიდერებში აღმოჩნდნენ მაგდა ვასაძის და პეჩოს წყვილი.

ჟიური ვეტოს გამოყენებას ითხოვდა, რადგანაც მათი თქმით, უსამართლობაა, აუთსაიდერებში ორი წამყვანი წყვილის დგომა. შედეგები გააპროტესტა ჟიურის მეოთხე მიწვეულმა წევრმა, ფეხბურთელმა რეზი არველაძემაც, თუმცა პროექტის პროდიუსერების განმარტებით, ამ შოუს არანაირი ვეტო არ აქვს, ამიტომაც ორი უძლიერესი წყვილი ერთმანეთს მაინც დაუპირისპირდა. მათთან ერთად აუთსაიდერებში დადგნენ დარჩენილი მონაწილეებიც, თუმცა ამ თანადგომამ შედეგი მაინც ვერ გამოიღო. ბოლო ათი წამის ათვლის შემდეგ, შოუს წამყვანმა დუტამ გამოაცხადა, რომ პროექტი მირიან ჯეჯელავამ და ნინი ცნობილაძემ დატოვეს.

„ორი ვარსკვლავის“ მეორე სეზონის მომავალ საკონკურსო ტურში სამშაბათს მსმენელის წინაშე დარჩენილი 9 წყვილი წარდგება და შოუს დასრულების შემდეგ მათგან პროექტს კიდევ ერთი წყვილი დატოვებს.

პროექტის ასეთმა შედეგებმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გულშემატკივართა ნაწილმა განაცხადა, რომ ამ შოუში ესემესები არაფერს წყვეტს და ყველაფერი პროდიუსერებს წინასწარ აქვთ განსაზღვრული. მაყურებლის აგრესიის და კრიტიკის გამო, „ორი ვარსკვლავის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალური განცხადება გააკეთა:

„მათ გასაგონად, ვინც გუშინდელი შედეგების გამო გვაკრიტიკებს: 1. პროექტი ნაყიდია 12 ეპიზოდის ჩათვლით, შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული ამ სეზონზე არანაირი ვეტო. 2. როცა წყვილის ნამღერი მოგწონთ, უნდა დაამესიჯოთ კიდეც. 3. თუ თქვენი მოწონებული წყვილი ტოვებს პროექტს, შესაბამისად, მას არ აქვს საკმარისი ოდენობის სმსები. ასე რომ, ჩვენს კრიტიკას ჯობია, რომ თქვენს ფავორიტებს გამოუგზავნოთ ერთი ნომრიდან მხოლოდ ერთი სმს დღეში. ჩვენც ძალიან დაგვწყვიტა გული მიკის და ნინის დუეტის გამოთიშვამ, ეს იყო ერთ-ერთი უძლიერესი დუეტი და ისინი ამ სეზონის ერთ-ერთი ფავორიტები არიან.“

მაყურებელი იმანაც აღაშფოთა, რომ ჟიური არაობიექტურია და მაღალ ქულებს უწერენ იმათ, ვინც ამას საერთოდ არ იმსახურებს, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ნაცნობ-მეგობრობა თამაშობს.

კონკურსის ერთ-ერთმა მონაწილემ ხათუნა ჟორდანიამ გულშემატკივართა ასეთი განცხადებების გამო, განმარტება გააკეთა:

„ძალიან დამწყდა გული იმ უსამართლობაზე, რაც გუშინ მოხდა „ორ ვარსკვლავში“. მირიან ჯეჯელავა და ნინი ცნობილაძე ჩემი ფავორიტები იყვნენ. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი ის ძლიერი წყვილი იყო, ვინც იმსახურებდა ფინალში გასვლას. მე და გიომ მოვითხოვეთ პროექტის დატოვება მიკის და ნინის მაგივრად, მზად ვიყავით გუშინვე წამოვსულიყავით პროექტიდან და დაგვეტოვებინა, ჩვენი აზრით, ჩვენზე უფრო ძლიერი, ახალგაზრდა კონკურსანტები, მაგრამ ტელევიზიამ უარი გვითხრა. მეც, ისევე როგორც ბევრი ადამიანი, ვთვლი, რომ აუთსაიდერებში პეჩო და მიკი არ უნდა მდგარიყვნენ, მაგრამ ეს კონკურსია და მოხდა ის, რაც მოხდა. რაც შეეხება უარყოფით კომენტარებს, ჩვენი, მე და გიოს და ჟიურის წევრების მეგობრობასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, ჩვენს არანაირ წახალისებას მათი მხრიდან, არც ერთ ტურში, ადგილი არ ჰქონია და თუ ნახევარი თბილისი მე და გიოს მეგობარია, სახლიდან აღარ გამოვიდეთ? თუ დავმალოთ? მგონი, ყველაფერი ვთქვი, რაც მინდოდა, რომ მეთქვა. ნინი და მიკი მიყვარს უზომოდ და მარტო იმისთვის ღირდა ამ პროექტში მონაწილეობის მიღება, რომ თქვენ გაგიცანით.“



პროექტს მიღმა დარჩენილი მირიან ჯეჯელავა კი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

„დიდი მადლობა ყველას, დიდი მადლობა ხათუნას და გიოს, მადლობა იმ ინიციატივისთვის, რომელიც მათგან წამოვიდა! ჩემთვის ეს მართლა ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს არის შოუ, სადაც ყველაფერი ხდება. მიყვარხართ ძალიან და ყოველ სამშაბათს თქვენთან ვარ. თავს არ დაგანებებთ!“

# სტეფანე იქს ფაქტორში“ აღარ იქნება

ეკა ირემაშვილი



მალე კიდევ ერთი მუსიკალური პროექტის „იქს ფაქტორი“ მეორე სეზონი დაიწყება. საზოგადოების მხრიდან შოუს მიმართ დიდი ინტერესია. როგორც პროდიუსერები აცხადებენ, გადაცემის ჩაწერები მალე დაიწყება.

ჩაწერებამდე კი ცნობილი გახდა, რომ მომღერალი და პროდიუსერი სტეფანე მუსიკალურ შოუში „იქს ფაქტორი“ აღარ იქნება. ინფორმაცია სტეფანემ თავად გაავრცელა:

„მადლობას ვუხდი ჩემს პროდიუსერებს, რომ ეს ამბავი გუშინ ღამე ესემესით შემატყობინეს. მადლობას ვუხდი გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს მათთან გატარებული დაუვიწყარი დროისთვის. ახალ ჟიურის წევრებს წარმატებას ვუსურვებ ამ საპასუხისმგებლო მისიისთვის და ზოგადად ყველას წარმატებებს გისურვებთ!“

ვრცელდება ინფორმაცია, რომ სტეფანეს მომღერალი სოფო ნიჟარაძე ჩაანაცვლებს და ის პროდიუსერებმა ამერიკიდან სპეციალურად მოიწვიეს, მაგრამ ვინ იქნებიან ჟიურის დანარჩენი წევრები და დარჩებიან თუ არა მენტორებად თამთა გოდუაძე, გიორგი გაბუნია და სოფო ტოროშელიძე, ეს ჯერჯერობით უცნობია.

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, „იქს ფაქტორის“ ხელმძღვანელობამ საგანგებო განცხადება გაავრცელა:

„პროექტის ჩაწერის მოახლოებასთან ერთად, ჟურნალისტები სულ უფრო მეტ ვარაუდს აკეთებენ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ იქნებიან ჩვენი ჟიურის წევრები. მართალია თუ არა გავრცელებული ხმები და ვინ გახდებიან პროექტის მეორე სეზონის მენტორები, ამას რამდენიმე დღეში, ჩვენთან, პროექტის ოფიციალურ გვერდზე შეიტყობთ.“

# გია ჯაჯანიძე: ფარისევლებო, მოგმართავთ თქვენ!“

ეკა ირემაშვილი

ტელეწამყვანი გია ჯაჯანიძე მის გადაცემასთან „სხვა რაკურსი“ დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს ეხმიანება და ქართველ საზოგადოებას საგანგებო განცხადებით მიმართავს:

,,მორწმუნენო“, ფარისევლებო, ყველაფრისმცოდნენო, კაცთმოძულენო და ღვარძლიანებო, მოგმართავთ თქვენ, სიყვარულით და გულისტკივილით.

სანამ სხვას განიკითხავთ და ტალახს ესვრით, დაფიქრდით, ვინ ხართ თავად თქვენ, რა გულისთქმები გაქვთ, რა ზიზღში ცხოვრობთ, ვის ან რას ემსახურებით. ჩვენ არავის მოვუწოდებთ, ჩვენ სასტიკი წინააღმდეგნი ვართ ყველანაირი პროპაგანდის, ჩვენ მხოლოდ გაჩვენებთ იმას, რაც ქვეყანაში ხდება.

ჩემი გადაცემის მიზანია: სახელმწიფოს მმართველებს, მთავრობის წარმომადგენლებს, წმინდა ეკლესიას და საზოგადოებას გაჩვენოთ რეალობა, რომელზეც ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. დიდი სურვილი მაქვს, სახელმწიფოში შეიქმნას პროფესიონალებით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც შესწავლის ქართველი ერის დღევანდელ ფსიქოლოგიას, მენტალობას და ინტერესს, რომელიც რეკომენდაციას გაუწევს საქართველოს მოსახლეობას, როგორ უნდა ვიცხოვროთ სწორად.

ავადმყოფი ექიმთან მიდის, რათა გამოიკვლიოს ავადმყოფობის და ტკივილის მიზეზი. ექიმმა უნდა გასინჯოს, ჩაუტაროს კვლევა, თუ სამკურნალოა, უნდა უმკურნალოს და გამოაჯანმრთელოს.

ერთ მოწყალე, საოცრად კეთილ მამაოს ვკითხე, რატომ გიყვართ, რატომ მეგობრობთ ამდენ ცოდვილ და გზააცდენილ ადამიანებთან-თქო, მამაომ მიპასუხა: ცოდვილი და გზააცდენილი უნდა გიყვარდეს, მის გვერდით უნდა დადგე და მოატრიალო სააქაოს, გზაზე უნდა დააყენო და გულში უნდა ჩაიკრა, თორემ, სწორ გზაზე მოსიარულესთან ღმერთი მუდამ არის და უყვარსო.

მიმაჩნია, რომ საზოგადოება ზიზღით არ უნდა იყოს განმსჭვალული, გულმოწყალე უნდა იყოს და სწორი გზა უჩვენოს გზააცდენილს, თუ ის მართლაც გზააცდენილია. ამიტომ, გადავწყვიტეთ ,,სხვა რაკურსით“ წარმოგვედგინა ადამიანები, რომლებიც დღეს საქართველოში ცხოვრობენ.

წესიერ და პატიოსან ადამიანს ვერაფრით ვერ გარყვნი. დაცემული აუცილებლად წამოდგება. აგრესია იწვევს სასიკვდილო დაავადებებს. რა მოხდება, იყავით ჯანმრთელები. პატივისცემით, გია ჯაჯანიძე.“

# ჩემი ცოლის დაქალები“ დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

გახმაურებული ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ „იუთუბმა“ დააჯილდოვა. ინფორმაცია ამის შესახებ სერიალის სცენარისტმა ქეთი დევდარიანმა გაავრცელა:

„პრიზი ჩვენს სერიალს თვით იუთუბისგან! დღეს ჩამოვიდა ვერცხლის „ფლეი ბათონ ავარდს“ ჩვენს ჩენელზე დაგროვებული 100.000 გამომწერისთვის! დიდი მადლობა ყველას ჩვენი სცენარის ავტორისგან და „ჩემი ცოლის დაქალების“ მთელი შემოქმედებითი ჯგუფისგან, თქვენ გარეშე ეს პრიზი არ იქნებოდა!“

„ჩემი ცოლის დაქალები“ ფორმულა კრეატივის ნაწარმოებია. მისი რეჟისორი გიორგი ლიფონავაა. სერიალი უკვე მეშვიდე სეზონია ეთერში გადის და მაყურებლის დიდი მოწონებით სარგებლობს. მასში ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები ნინო კასრაძე, მედეა ლორთქიფანიძე, დიმა ტატიშვილი, ბაია დვალიშვილი, ვანიკო თარხნიშვილი, თინა მახარაძე, ლელა მებურიშვილი მონაწილეობენ.

# სალომე ჭაჭუა და გიორგი ვარდოსანიძე დაშორდნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გიორგი ვარდოსანიძეც და სალომე ჭაჭუაც ამჯერად თავიანთი საქმეებით არიან დაკავებული. გიორგი მუსიკისა და დრამის მსახიობია და ბევრს მუშაობს, პარალელურად „რუსთავი 2“-შია და იუმორისტული გადაცემა „გააცინე და მოიგე“ მიჰყავს. სალომეს თავისი ცეკვის სტუდია აქვს გახსნილი და მომავალ თაობებს ლათინო-ამერიკულ ცეკვებს ასწავლის.

წყვილთან დაკავშირებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ბინას, რომელშიც ისინი ერთად ცხოვრობდნენ, გიორგი ვარდოსანიძე ყიდის. სალომემ და გიორგიმ ერთმანეთი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონში გაიცნეს. ისინი პროექტში მეწყვილეები იყვნენ. მაშინ სალომე ჭაჭუა მოცეკვავე გიგი გაჩეჩილაძის შეყვარებული იყო და დაქორწინებასაც აპირებდნენ, თუმცა მსახიობის გამოჩენამ მათი გეგმები რადიკალურად შეცვალა და ერთმანეთს დააშორა.

გიორგი და სალომე პროექტში მეორე ადგილზე გავიდნენ და მსახიობმა საჩუქრად ავტომობილი მოიგო. წყვილმა გასულ წელს ჯვარი დაიწერა და ერთად ცხოვრება დაიწყო, თუმცა მათი თანაცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. ცოლ-ქმრის ამპლუაში მათ პირველი ერთობლივი პროდუქტიც შექმნეს ტელეკომპანია „მარაოზე“, რომლის ხელმძღვანელიც მაია ასათიანია. სალომეს და გიორგის გადაცემა „ცეკვის გაკვეთილები“ მიჰყავდათ, რომელიც ამჟამად ეთერში აღარ გადის. მაია ასათიანი თავის მხრივ ადასტურებს, რომ გადაცემა გაჩერდა, მაგრამ ეს არხის მიზეზით არ მომხდარა.

ეკა ირემაშვილი

# ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

თამაზ ბაციკაძე, ვანო გორგიძე, მანუჩარ მაჩაიძე, შალვა ნაჭყებია, რეზო სტურუა, გიზო ცინცაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ძვირფასი მეგობრისა და დიდი სპორტსმენის

**გურამ მინაშვილის**

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ციალა, შვილები ლაშა და ირმა, სიძე მიშა, რძალი ვერიკო, შვილიშვილები გიორგი, სალომე, თამუნა, ჯონი და გურამი იუწყებიან

**გურამ ნიკოლოზის ძე ღლონტის**

გარდაცვალებას.

გამოსვენება: შაბათს, 7 მარტს.

მისამართი:. თემქა, III მ/რ-ნი, IV კვარტალი, 66-ე კორპუსი.

გულივერ ხინთიბიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**გურამ ღლონტის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7 რდბპბც უფჯლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 5 მარტი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 02.50** "პირადი ექიმი" **11.00, 03.30** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ოჯახური გამოძიება"** **14.20** "მეხსიერება" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"დაუნტონის სააბატო** **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ **"გიგანტური"**

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "პრაღა" **11.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"ტაქსისტი"** **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35, 02.20, 04.15** ქრონიკა **10.05** სერ. **"უდანაშაულო"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღალატი"** **17.35** სერ. **"ქალის ხვედრი"** **18.45, 19.03** სერ. **"დაკარგული"** **20.55** სერ. **"შურისძიება"** **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ **"დაუჯერებელი სიყვარული"** **02.30** მხ/ფ **"წყვდიადის სამეფო: ევოლუცია"**

**06.00, 16.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **"პუუ"** **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **17.00** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** პროფილი **23.30** მხ/ფ. **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** დ/ფ "ჩუქურთმა" **06.55** დ/ფ "ახალმოწამენი" **07.35** საქართველოს ქალაქები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ივერიის ეკლესია" **11.00** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.05** ერთი წვეთი **15.20** ქრისტიანული სწავლება IV გად. **15.35** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **16.05** კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი **17.30** დ/ფ "მცხეთის ჯვარი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ/ფ **"ლახტი"** **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დ/ფ "წინაპართა ნაკვალევზე" **22.25** დ/ფ "სამი საქართველო" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ბროლის ნიღაბი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.00** "მაესტროს ახალი ამბები" **10.05, 11.05** **სერიალი "ჩემი შვილები"** **12.30, 13.05, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **15.35** გადაცემა "პულსი" **16.05** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **19.00** **სერიალი "მამის კვალდაკვალ"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30** გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" **0.00** დ/ფ "საქართველო მე-XX საუკუნე"

**გპჯუპფვტ,ბ ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ ვბყაჯპფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


5 მარტი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.1403

ევრო — 2.4008

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2988

100 რუსული რუბლი — 3.4484

**ამინდის პროგნოზი 5 მარტისთვის**






# დღეს თბილისის დინამო ზესტაფონს ხვდება

## საინტერესო ტურის მოლოდინში

**დღეს, საქართველოს 26-ე ეროვნული ჩემპიონატის მე-18 ტურის მატჩები გაიმართება, რომელთა ნაწილი დიდ ინტერესს იწვევს. თუმცა, შესაძლოა, ტურმა ნაკლებადაც ჩაიაროს. უფრო დაწვრილებით კი, მატჩების პრევიუში წაიკითხავთ.**

ზღვისპირელებსაც კომფორტული უპირატესობა აქვთ სათასო დაპირისპირების დროსაც, სადაც ერთმანეთს 6-ჯერ შეხვედრიან. „დინამომ“ 4 მატჩი მოიგო, თითო ფრე და წაგება.

მატჩს სირიელი მსაჯი აბდულ ბასლეჰლო განსჯის.

**დინამო (თბ) – ზესტაფონი**

**თბილისი.** დინამო არენა თბილისელები თითქმის ოთხი შეხვედრა დასრულდა. 2012-13 სეზონის ბოლო ტურის მატჩში 18 მაისს, „დინამომ“ მეტოქე ხუთბურთიანი სხვაობით — 6:1 დაამარცხა. 2009 წლის 10 აპრილს დედაქალაქელებმა გასვლით შეხვედრაში „ზესტაფონს“ ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს. ამავე წლის 29 აგვისტოს თბილისელები ზესტაფონში მარგველ ფეხბურთელებთან 1:4 დამარცხდნენ. 2012 წლის 14 დე-



**დინამო (ბთ) – დილა**

**ქობულეთი.** ჩელე არენა ტურის უდავოდ გამორჩეული მატჩი. ზღვისპირელთა ასეთ თამაშს ამ ჩემპიონატში არავინ ელოდა და ახლაც პრეტენზიას ხუთეულში მოხვედრაზე აცხადებენ, თუმცა მესამე ადგილზე არიან, ჩემპიონატის ლიდერს მასპინძლობენ და მოგების შემთხვევაში ქულით მიუახლოვდებიან. აქედან გამომდინარე რა დატვირთვაც აქვს ამ მატჩს, იოლი მისახვედრია.

ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების დღიდან აღნიშნული გუნდები ერთმანეთს სულ 44-ჯერ დაუპირისპირდნენ. აქედან ზღვისპირელებმა 24 მატჩი მოიგეს, „დილამ“ — 9, ხოლო 11 ფრედ დასრულდა. ბურთების შეფარდება, რა თქმა უნდა, ბათუმელთა მხარესაა — 25:70.

სამთვიანი პაუზის შემდეგ პირველ შეხვედრას გამართავენ საკუთარ კედლებში და დაკარგული ლიდერობის დაბრუნებას შეეცდებიან. თუმცა, ამაში მათ მეორე „დინამო“ — ბათუმის უნდა დაეხმაროს.

დღემდე დინამო თბილისი და ზესტაფონი ეროვნულ ასპარეზზე ერთმანეთს 34– ჯერ შეხვედრიან. დედაქალაქელმა ფეხბურთელებმა მეტოქე 19 შემთხვევაში დაამარცხეს, 6 მატჩი ფრედ დასრულდა, 9 შეხვედრაში კი ყვირილისპირელებმა იმარჯვეს. გატანილი და გაშვებული ბურთების შეფარდება დინამოელთა სასარგებლოდაა — 51:33.

დინამო-ზესტაფონის დაპირისპირებაში ყველაზე პოპულარული ანგარიში 1:0 არის, რომელიც 11 შეხვედრაში დაფიქსირდა. დიდი ანგარიშით კემბერს კი „დინამომ“ სტუმრად 1:5 წააგო.

„დინამოს“ ზესტაფონური გუნდებიდან, ასევე „მარგვეთთან“ და „მეტალურგთან“ უთამაშია. ამ შეხვედრებში თბილისელებს კოლოსალური უპირატესობა ჰქონდათ. 21 ჩატარებულ მატჩში ზესტაფონელებმა მხოლოდ 2–ჯერ იმარჯვეს, 3 შეხვედრა ფრედ დასრულდა, ხოლო 16 შემთხვევაში თბილისელებმა იზეიმეს გამარჯვება. ბურთების შეფარდება 82:15 „დინამოს“ სასარგებლოდ. ყველაზე დიდი ანგარიშით „დინამომ“ 1994 წლის 15 ოქტომბერს 10:1 იმარჯვა. 1996 წლის 17 ნოემბერს „დინამომ“ 8 უპასუხო ბურთი გაუტანა „მარგვეთს“. ანგარიშებით 6:0 და 6:1 კი, „დინა-

გაგრძელება მე-9 გვერდზე



# სალომე ჭაჭუა და გიორგი ვარდოსანიძე დაშორდნენ

მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე და მოცეკვავე სალომე ჭაჭუა დაშორდნენ. ამ თემაზე საუბარი ქართველმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაიწყო, თუმცა წყვილი ხმამაღლა არასოდეს საუბრობდა და კომენტარებსაც თავს არიდებდა.

მას შემდეგ კი, რაც სალომე მაია ასათიანთან „პროფილში“ ახალ მეწყვილესთან ერთად მივიდა, ტელეწამყვანმა შანსი არ გაუშვა ხელიდან და მოცეკვავეს ოჯახის დანგრევასთან დაკავშირებით დაუსვა შეკითხვა. თავის მხრივ სალომემ სთხოვა ჟურნალისტს, ყველა თემაზე ესაუბრათ, ოღონდ ამაზე არა:

„ამაზე არანაირი კითხვა რა, საერთოდ.“

მოცეკვავე არასოდეს გამოირჩეოდა ჟურნალისტების სიყვარულით, ამ შემთხვევაში კი საერთოდ არანაირ კომენტარს არ აკეთებს. მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე კი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

„ეგ, მოდი, ვისაც როგორ უნდა, ისე გადაწყვიტოს. მე ამ ეტაპზე კომენტარს არ ვაკეთებ.“

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მადალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში; 2. დროის ისტორიული მონაკვეთი; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. უნგრული ღვინო; 5. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 8. რომის პაპის ბრძანებულება; 9. სირაქლემისნაირი ავსტრალიური ფრინველი; 10. ზოგიერთ ქვეყანაში, მთავრობის წევრთა, მინისტრთა ერთობლიობა; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. თეთრი ფერის, ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 15. ოპტიკური მინების მწარმოებელი გერმანული ფირმა.

**თარაზულად;** 1. თანამედროვე ქართველი პოეტი; 6. მცირე ზომის პროზაული ნაწარმოები; 7. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ნეონის ნათურების გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. ფლიდი, ფარისევლი ადამიანი; 13. „ფორმულა-1“-ში მონაწილე იტალიელი ავტომრბოლელი; 14. შავი ფერის, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 16. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 17. დედამიწის ჩრდილო-პოლარული მხარე; 18. სადაზღვევო მოწმობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




